



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საბაკალავრო პროგრამები: ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა),
გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა),
საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), რუსისტიკა
(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);
სამაგისტრო პროგრამები: ანგლისტიკა, რომანული ფილოლოგია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

19-21 დეკემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 თებერვალი 2023

თბილისი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	16
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	16
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	48
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	62
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	69
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	92

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიული კალატოზიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა აროშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ანგლისტიკა	გამოყენებითი გერმანისტიკა	საფრანგეთისმცოდნეობა	რუსისტიკა	ანგლისტიკა	რომანული ფილოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (BA in English Philology)	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში (BA in German Philology)	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში (BA in French Philology)	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში (BA in Russian Philology)	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში (MA in English Philology)	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რომანულ ფილოლოგიაში (MA in Roman Philology)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition	0231 ენის დაუფლება - Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	---	---	---	---	---	---
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	240	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, N68, 30.09.2011	აკრედიტებული, N68, 30.09.2011	აკრედიტებული, N68, 30.09.2011	აკრედიტებული, N68, 30.09.2011	აკრედიტებული, N68, 30.09.2011	აკრედიტებული, N70, 30.09.2011

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

საკრედიტაციოდ წარმოდგენილ კლასტერში (ენის დაუფლება, კოდი: 0231) შინაარსობრივი ნიშნით დაჯგუფებულია 6 საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრირებით:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.2; გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.3; საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.6; რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.14);

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები (ანგლისტიკა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.2; რომანული ფილოლოგია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რომანულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.5).

ექვსივე პროგრამა ერთ კლასტერში გაერთიანებულია და ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად, ვინაიდან არის ფილოლოგიური პროფილის, განეკუთვნება ენის დაუფლების დეტალურ სფეროს და მიზნად ისახავს რამდენიმე ევროპული ენის და მათთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კულტურის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) სწავლებას სწავლების საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში შეისწავლება კონკრეტული უცხოური ენა (ინგლისური / გერმანული / ფრანგული / რუსული) როგორც საკომუნიკაციო საშუალება; შესაბამისი ენის სტრუქტურა და მისი სისტემური თავისებურებები; შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურა, ისტორია და კულტურა; ამასთანავე პროგრამების ფარგლებში ხდება განსხვავებული ტიპის ტექსტების დამუშავება, გააზრება და მათი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი. სამაგისტრო საფეხურზე “ანგლისტიკისა” და “რომანული ფილოლოგიის” პროგრამებში ხდება ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის გაღრმავება შესაბამისი ენის ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების, ასევე თარგმანმცოდნეობის მიმართულებით.

კლასტერში წარმოდგენილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შემდეგი: “ანგლისტიკის” საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები - 29 და 21, “გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო პროგრამა - 25, “საფრანგეთისმცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამა - 21, “რუსისტიკის” საბაკალავრო პროგრამა - 16, “რომანული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამა - 21.

სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისით ლიდერობენ “ანგლისტიკის” საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა და “გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო პროგრამა - 731, 44 და 37. შედარებით მოკრძალებულია სტუდენტების რაოდენობა “რუსისტიკის”, “საფრანგეთისმცოდნეობის” და “რომანული ფილოლოგიის” მიმართულებით - 11, 10 და 4. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების ასეთი განაწილება სავსებით შეესაბამება როგორც საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, ისე საერთაშორისო ტენდენციებს. პროგრამების განმახორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები (კლასტერის საშუალო მაჩვენებელი - 80%) შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში დანერგილ პრაქტიკასაც.

კლასტერში წარმოდგენილ მიმართულებებზე სტუდენტების ასეთი არათანაბარი განაწილება, ბუნებრივია, განაპირობებს თანხების არათანაბარ აკუმულირებას, თუმცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - მისი მისიიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე - ახერხებს საუნივერსიტეტო ბიუჯეტის ეფექტიან მართვას და ფინანსურად მომგებიანი დარგებიდან, საგრანტო თუ სხვა ტიპის წყაროებიდან მიღებული შემოსავლების გონივრულ განაწილებას, რათა კლასტერში წარმოდგენილ თითოეულ მიმართულებას ჰქონდეს აუცილებელი რესურსი როგორც სტაბილურად ფუნქციონირების, ისე შემდგომი განვითარებისთვის.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) განხორციელდა 2022 წლის 19-21 დეკემბერს, ძირითადად, დასწრებულ ფორმატში, თუმცა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების ჩატარება საჭირო გახდა ჰიბრიდულად, ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით. ვიზიტში მონაწილეობდნენ:

- ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;
- ეკატერინე ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო;
- თეონა ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;
- გიული კალატოზიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;
- მარინა აროშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;
- თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო;
- მარიამ გორგოძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის და პროგრამების განმახორციელებელი ფაკულტეტის

ადმინისტრაცია, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს შესაბამისი მატერიალური რესურსები.

ექსპერტებს გამოყოფილი ჰქონდათ დრო მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად, ძირითადი მიგნებების შესამუშავებლად. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ექსპერტების პირველადი მოსაზრებები, სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამების ძლიერი მხარეები, საუკეთესო პრაქტიკა და გასაუმჯობესებელი მხარეები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტებისთვის უზრუნველყვეს ეფექტიანი სამუშაო გარემო, ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხები გასცეს ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც დაისვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ. ვიზიტის დროს დადასტურდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე. შეფასების შედეგები აისახა დასკვნის პროექტში, ხოლო შემდეგ - აკრედიტაციის დასკვნაში.

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კლასტერში წარმოდგენილი ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის და რუსისტიკის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული, მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსებით აღჭურვილი. სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ფორმირებას ხელს უწყობს სასაბიბლიო და კარგად გამართული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა „არგუსის“ სახით, სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია როგორც ადმინისტრაციის, ისე ლექტორების მხრიდან, კარგად განვითარებული სტუდენტური სერვისები. კლასტერში წარმოდგენილი ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის და რუსისტიკის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური და მოტივირებული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საგანგებოდ გამოყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემდეგი ძლიერი მხარეები:

- არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ადეკვატური შეფასება და დარგების განვითარებასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, კარგად გააზრებული კლასტერული მიდგომა;
- ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის და რუსისტიკის მიმართულებით არსებული მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- დაფინანსების მოძიების ეფექტიანი სისტემა და ფინანსების ეფექტიანი განაწილება მომგებიან და არამომგებიან დარგებს შორის. ფინანსურად არამომგებიანი, თუმცა სტრატეგიულად და ინტელექტუალურად მნიშვნელოვანი დარგების შენარჩუნება-განვითარება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა (ინსტრუმენტების მუდმივად განახლება, მაგალითად, ტელეფონით გამოკითხვის მექანიზმი), ხარისხის შეფასების შედეგებზე ადეკვატური რეაგირება, სტუდენტების

გამოკითხვის ეფექტიანი სისტემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ წარმართული;

- სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, გუნდური მუშაობა როგორც ხარისხის კულტურის დამკვიდრების წინაპირობა;
 - კურიკულუმის შემუშავების პროცესის კარგად გააზრება - არამომგებიანი და ერთი შეხედვით ბაზარზე არაორიენტირებული სპეციალობების მორგება ბაზრის მოთხოვნებზე - გამოყენებითი გერმანისტიკა, რომანისტიკა;
 - რომანისტიკის მიმართულების საერთაშორისო თანამშრომლობა, განსაკუთრებით მონპელიეს უნივერსიტეტთან;
 - გერმანული ენის ავსტრიული საგამოცდო ცენტრი როგორც ხარისხის განვითარების დამატებითი მოტივაცია გერმანისტიკის მიმართულების სტუდენტებისა და ლექტორებისთვის.
- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - **ანგლისტიკა** (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს.
 - **გამოყენებითი გერმანისტიკა** (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს.
 - **საფრანგეთისმცოდნეობა** (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს.
 - **რუსისტიკა** (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის პირველ სტანდარტს.
 - **ანგლისტიკა, მაგისტრატურა** - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის პირველ და მეორე სტანდარტს.
 - **რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა** - სრულად შეესაბამება აკრედიტაციის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს.

- რეკომენდაციები

ანგლისტიკა (ბაკალავრიატი)

2.3

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული ინგლისური ენის კურსებში დარეგულირდეს სტუდენტების რაოდენობა, რათა მოხდეს სამიზნე ენის შესწავლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

2.4

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად იქნას გაწერილი ინგლისურ-ენოვანი დისკურსის, ინგლისური ენა - C1 Advanced შეფასების კრიტერიუმები.

გამოყენებითი გერმანისტიკა (ბაკალავრიატი)

1.5

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში „შემოქმედებითი წერისა“ და „ლიტერატურული კრიტიკის“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას დაემატოს მეორადი წყაროებიც - სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა.
- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანის“ სილაბუსში დაზუსტდეს და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს მიზნები, შედეგები და შეფასების მექანიზმი.

რუსისტიკა (ბაკალავრიატი)

1.4

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში მოხდეს თავდაპირველად რუსული ენის სინტაქსის, ხოლო შემდეგ რუსული ენის სტილისტიკის სწავლება და აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს შესაბამისი სასწავლო კურსების წინაპირობებით.
- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში განახლდეს სასწავლო კურსის - „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“ - მიზნები, შედეგები და შინაარსი, დაემატოს სლავური გრამატიკული სისტემების თავისებურებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიზნების, შედეგების და საგნის შინაარსის შესაბამისობა მის სახელწოდებასთან.

ანგლისტიკა (მაგისტრატურა)

1.4

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაში დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმანის უნარის გამომუშავება.
- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაში დაზუსტდეს შემდეგი შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: 1. სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა; 2. ანგლო-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია; 3. კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი; 4. ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობა; 5. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი C1.1.

2.1

- დეტალურად გაიწეროს ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

2.4

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები.

3.2

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რომანული ფილოლოგია (მაგისტრატურა)

2.1

- დეტალურად გაიწეროს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები წერითი და ზეპირი მისაღები გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

2.4

- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები.

3.2

- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რჩევ(ებ)ი:

ანგლისტიკა (ბაკალავრიატი)

1.1

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში ჩაემატოს ინგლისური ენის B2 დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.

1.5

- მიზანშეწონილია განახლდეს ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი ინგლისური ენის კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები.
- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვანი დისკურსის სილაბუსებში სახელმძღვანელოებს მიეთითოს გამოცემის წლები.

3.1

- გაააქტიურდეს საქმიანობა ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

5.2

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

გამოყენებითი გერმანისტიკა (ბაკალავრიატი)

1.4

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში/სტრუქტურაში/სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს დამკვიდრებული პრაქტიკა

და დეტალურად გაიწეროს ენის ცოდნის აღიარების მექანიზმები (საერთაშორისო სერთიფიკატი, შიდა საუნივერსიტეტო ტესტი და სხვა), რაც დაეხმარება სტუდენტს დაუბრკოლებლად აირჩიოს მისთვის რელევანტური გერმანული ენის კურსი.

3.1

- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

4.5

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა შესაბამისი პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

5.2

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

საფრანგეთისმცოდნეობა (ბაკალავრიატი)

1.2

- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს კომუნიკაცია სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, კერძოდ, სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, მათთვის პროგრამის გაცნობისა და პროგრამაზე მათი მოზიდვის და სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით.
- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი დასაქმების ბაზართან ურთიერთთანამშრომლობით, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მოკლევადიანი, კურიკულუმსგარე პრაქტიკა/სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული და აგრეთვე ტრანსფერული უნარების მეტად განვითარებას.
- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

4.5

- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა შესაბამისი პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

5.2

- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

რუსისტიკა (ბაკალავრიატი)

1.1

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში ასახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხები.

1.2

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

1.4

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილ იქნას მეტი ინფორმაცია ილიაუნის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და საგნების არჩევის პრინციპების შესახებ.
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას ევროპის სლავურ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება-განმტკიცება რუსისტიკა-სლავისტიკის მიმართულებით, მათ შორის პოლონური ენის სწავლების მიმართულებით უნივერსიტეტში უკვე არსებული პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინებით.
- სასურველია, რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მეტი ჩართულობა

3.1

- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

4.5

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა შესაბამისი პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად

ანგლისტიკა (მაგისტრატურა)

1.5

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში C1.1 და C1.2 განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

რომანული ფილოლოგია (მაგისტრატურა)

1.1

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული, კლასიფიკატორიდან გამომდინარე ბარიერი რომანისტიკის მიმართულებით ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განსახორციელებლად.

2.2.

- საფრანგეთისმცოდნეობის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი დასაქმების ბაზართან ურთიერთთანამშრომლობით, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა

მოკლევადიანი, კურიკულუმსგარე პრაქტიკა/სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული და აგრეთვე ტრანსფერული უნარების მეტად განვითარებას.

- საფრანგეთის მცოდნეობის რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ფარგლებში გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

3.1

- გაააქტიურდეს საქმიანობა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

4.5

- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა შესაბამისი პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.
- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა შესაბამისი პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია:

- უნივერსიტეტში არსებული შიდა მექანიზმი მცირეკონტიგენტიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მოწვეული ლექტორების ლექციებზე დასწრება, დაკვირვება და მისი შედეგები, როგორც ხარისხის განვითარების და ხარისხის კულტურის ფორმირების ეფექტიანი საშუალება;
- მოწვეული ლექტორების ჩართულობა ერაზმუსის პლუსის პროგრამაში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა ე.წ. რიდერების მომზადების პროცესში.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული მოსაზრებები ცალკეულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა რომელიმე რეკომენდაციის ცვლილება და/ან დაზუსტება.

3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციის თაობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ანგლისტიკისა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებისთვის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შემუშავდა მოგვიანებით, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ და აისახა ნაშრომის კონცეფციებში. ვინაიდან აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტებისთვის არ უცნობებიათ აღნიშნული ცვლილების შესახებ და განახლებული დოკუმენტები წარმოდგენილ იქნა ვიზიტის შემდგომ, საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რეკომენდაციები დარჩა ძალაში. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული რეკომენდაციებით განსაზღვრული საკითხი დღეის მდგომარეობით უკვე მოგვარებულია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ 2011 წელს აკრედიტაციის მიღების შემდეგ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ექვსივე პროგრამის შემთხვევაში არსებითად გაუმჯობესდა პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი (ისინი უფრო მეტად გახდა სტუდენტის ინტერესებზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და შესაბამისი დარგის ფუნდამენტურ სწავლებაზე ორიენტირებული). არსებითი ცვლილებები შეეხო პროგრამების სტრუქტურას, რაც ორმა ფაქტორმა განაპირობა: საგნების არჩევის მიმართ უფრო სისტემური მიდგომის საჭიროებამ და “ენის დაუფლების” უმაღლესი განათლების დარგობრივმა მახასიათებელმა. გარდა ამისა, გაიზარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი სწავლების, კვლევისა და მართვის პროცესში, განახლდა და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, განვითარდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა და შეიქმნა კარგი წინაპირობები ხარისხის კულტურის ფორმირებისთვის.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე, ისევე როგორც სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ გასაუბრებებზე დაყრდნობით დგინდება, რომ თავისი მიზნებითა და შინაარსით, აგრეთვე გამოყენებითი ასპექტებითა და ინტერნაციონალიზაციით კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები - ანგლისტიკა, გამოყენებითი გერმანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, რუსისტიკა, ანგლისტიკა, რომანული ფილოლოგია - სრულად შეესაბამება უნივერსიტეტისა და პროგრამების განმახორციელებელი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) მისიასა და სტრატეგიას, რაც ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამების მიზნები ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და რეალისტურად. გამოითქვა მხოლოდ რჩევები “ანგლისტიკის” და “რუსისტიკის” საბაკალავრო პროგრამების მიზნებთან დაკავშირებით და ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განხორციელების მიზნით კლასიფიკატორში ცვლილების ინიცირების თაობაზე.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსი, “ენის დაუფლების” უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (შემდგომში - ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი ან დარგობრივი მახასიათებელი), ისე ენის დაუფლების დეტალურ სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, ის საჭიროებები, რომლებიც არსებობს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, შრომისა და განათლების ბაზრის ვითარება.

აღსანიშნავია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროგრამაზე მომუშავე მთელი გუნდის, პროგრამის განმახორციელებელი პირების სწორი ხედვა, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტების, თეორიული და პრაქტიკული სწავლების ჰარმონიული შერწყმა პროგრამების კონცეფციის ფორმირების პროცესში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ კლასტერში გაერთიანების მიუხედავად, წარმოდგენილი პროგრამების კონცეფციები განსხვავებულია და ითვალისწინებს შესაბამისი ენის სწავლების სპეციფიკას, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე საქართველოს სხვა

უნივერსიტეტებში, პოტენციური სტუდენტების რაოდენობას და შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა, მატერიალური რესურსების გაცნობამ და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (განსაკუთრებით სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან) ჩატარებულმა გასაუბრებებმა ნათელიყო, რომ პროგრამებში ფორმულირებული მიზნები სავსებით მიღწევადია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, აგრეთვე არსებული საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების ინტერნაციონალიზაციის შემდეგი ასპექტები: სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული ლექტორების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში (ერაზმუს+ და სხვ.), უცხოელი ლექტორების ვიზიტები და მათ მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარები, სტუდენტებისთვის შეთავაზებული უცხოენოვანი კურსები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო პუბლიკაციები, მათ მიერ უცხოეთში წაკითხული ლექციები, მათი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და საერთაშორისო პროექტებში და სხვ.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აღწერილობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამების განმახორციელებელ პირებთან - როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები (სხვა მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საკითხებთან ერთად) გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ (პროგრამის შემუშავების პროცესის დიაობის, მასში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მეხუთე სტანდარტებისთვის).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)⁶

“ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებებს მოიცავს და ითვალისწინებს ინგლისური ენის მრავალმხრივი შესწავლის შესაძლებლობას და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ავტორების, ჟანრებისა და ნაწარმოებების შესწავლას. პროგრამის მიზანში ნათლად იკვეთება ინგლისური ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების დაუფლება. პროგრამის აღწერილობის თანახმად, სტუდენტს “სრულყოფილად ეცოდინება ინგლისური ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება”, თუმცა დოკუმენტში არ არის მითითებული ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით თუ რა დონეზე შეძლებს სტუდენტი ინგლისური ენის დაუფლებას (პროგრამა, გვ. 1). პროგრამის მეშვიდე სწავლის შედეგში მითითებულია ინგლისური ენის B2 დონე, როგორც პროგრამის სამიზნე ენობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მზაობა პროგრამის მიზანში ენის კომპონენტის მსგავსი ფორმულირებით წარმოდგენის, რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს მიზანსა და სწავლის მეშვიდე შედეგს შორის კავშირი. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, რომ ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში ტექნიკურად ჩაემატოს ინგლისური ენის B2 დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

პროგრამა მიზნად ისახავს ინგლისური ენის ფილოლოგიის დარგში მისცეს სტუდენტებს საშუალება შეისწავლონ და გაანალიზონ ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი აქტუალური საკითხები კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და მის პრაქტიკულად გამოყენებას სფეროსა და საზოგადოების განვითარებისთვის. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია გამომდინარე იქიდან, რომ ის ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს გაზარდოს საჭირო ინგლისური ენის ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი კადრი. პროგრამის მიზანი - მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც სრულყოფილად ეცოდინება ინგლისური ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება და ექნება ფართო ცოდნა ბრიტანული და/ან ამერიკული ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესახებ - ეხმანება ინტერნაციონალიზაციის საკითხს. გარდა ამისა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და უცხოელი კოლეგების მიერ პერიოდულად წაკითხული ლექციები.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ანგლისტიკის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

კლასტერში დაჯგუფებული “გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ნათლად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა შექმნა/გამომუშავებასაც შეძლებს კურსდამთავრებული. ჩამოყალიბებული მიზნები რეალისტური, მიღწევადია და ითვალისწინებს, ერთი მხრივ, თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს (როგორცაა, მაგ.: კულტურათმცოდნეობის კომუნიკაციის, რაოდენობრივი ანალიზისა და გუნდში მუშაობის უნარების განვითარება), მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან, ასევე სრულად პასუხობს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილ სფეროს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და დარგის განვითარების თავისებურებებს.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის მიზნებს სრულად იზიარებენ გამოყენებითი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და მოწვეული ლექტორები. მიზნები ხელმისაწვდომი და საჯაროა დაინტერესებულ პირთათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი „საფრანგეთისმცოდნეობა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ბაზრის კვლევის შედეგებსა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა მიზნად ისახავს საბაკალავრო საფეხურის სპეციალისტის მომზადებას. სახელდობრ, პროგრამა ემსახურება ისეთი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც დაუფლებული იქნება, ერთი მხრივ, ფრანგულ ენას, ხოლო, მეორე მხრივ ფრანგულენოვან ლიტერატურას, საფრანგეთის კულტურას და ისტორიას. მას ასევე ექნება საბაზისო ცოდნა ფრანგული ენის სტრუქტურისა და მისი სისტემური თავისებურებების შესახებ და ფრანგულენოვან ტექსტზე და დისკურსზე მუშაობისას შეძლებს განსხვავებული ტიპის ტექსტებისა და განსხვავებული ჟანრის დისკურსების ანალიზს კულტურული,

სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება მიღებული კვალიფიკაციით მუშაობა და სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელება (იხ. თვითშეფასების ანგარიში). საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროს და სწავლების საფეხურიდან გამომდინარე, პროგრამა ასევე ასახავს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს „საფრანგეთისმცოდნეობის“ დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს. მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ანგარიშის, პროგრამისა და სილაბუსების, ინტერვიუების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

წარმოდგენილი პროგრამა სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანია „კვლევისა და სწავლების ერთიანობა; ცოდნის შექმნა და გადაცემა ხდება ერთი და იმავე ადამიანების მიერ, ხოლო სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ცოდნის შექმნის პროცესში; ზოგადი განათლებისა და სპეციალიზაციის ერთიანობა ... ; უნივერსალურისა და ლოკალურის ერთიანობა, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს მეცნიერების, როგორც საყოველთაო და უნივერსალურად გაზიარებადი ცოდნის წარმოებას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონალური, ნაციონალური და ლოკალური კონტექსტების მიმართ და უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის მძლავრ ცნობიერებას (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა იხ. <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission>).

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის შედეგებითა და ანალიზით. ზემოხსენებული კვლევის შესაბამისად, „საფრანგეთისმცოდნეობის“ პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ადგილობრივ შრომის ბაზარზე შემდეგი მიმართულებებით (იხ. დასაქმების ბაზრის კვლევა - „საფრანგეთისმცოდნეობა“):

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (ერთწლიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მმსპ) გავლის შემთხვევაში);
- ✓ საერთაშორისო-კულტურული ურთიერთობები - საელჩოს/საკონსულოს თანამშრომლად;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები;
- ✓ სოციალურ-ჰუმანიტარული და ბიზნესის სფეროები - თარჯიმან-რეფერენტად;
- ✓ საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო;
- ✓ კულტურული ტურიზმი;
- ✓ არასამთავრობო სექტორი;
- ✓ საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები;
- ✓ მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: ფრანგულენოვანი გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები.

პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე - მაგისტრატურაში.

პროგრამის შემუშავებისას განხორციელდა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების შედარება (იხ. თვითშეფასების ანგარიში). კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მისი განხორციელების მოდელები, დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით პოლ ვალერიის უნივერსიტეტი - მონპელიე 3 - თან

თანამშრომლობით (საფრანგეთი), რომელთანაც არსებობს ხანგრძლივი და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობა, რაც ექსპერტთა ჯგუფმა “საფრანგეთის მცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამის და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნია.

ინტერნაციონალიზაციის ასპექტები იკვეთება პროგრამაში ჩართული პერსონალის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობით და გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც. ინტერვიურებისას და მოწოდებული დოკუმენტებითაც (ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) დადასტურდა, რომ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო მობილობის პროექტებში, როგორც Erasmus+ და სხვა გაცვლით პროგრამებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და სხვა აქტივობებში, რის შესახებაც ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი.

ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის (გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები) გათვალისწინებით იკვეთება, რომ „საფრანგეთის მცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (იხ. გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები).

პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - <https://www.iliauni.edu.ge/>.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

„რუსისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებს, ასახავს რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. მიზნები საკმაოდ რეალისტური და მიღწევადია, თუმცა სასურველი იქნებოდა მისაღწევი უნარების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება. კერძოდ, სასურველია, მიზნებში აისახოს აკადემიური პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხები. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, რომ პროგრამის მიზნებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

“ანგლისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მაღალკვალიფიციური ანგლისტი-ფილოლოგის მომზადება, რომელსაც ექნება ინგლისური ენის, ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერების, ლიტერატურის მცოდნეობის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის საფუძველზე შეძენილი სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. სამაგისტრო პროგრამის მიზანი ეხმაურება ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანს, რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის, როგორც სისტემის სტრუქტურულ კომპონენტებზე და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპებზე დიაქრონულ ჭრილში შესწავლას. პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ფორმულირებული, რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზანი ინგლისური ენის ფილოლოგიის დარგში მისცეს სტუდენტებს საშუალება შეისწავლონ, გაანალიზონ და იკვლიონ აქტუალური საკითხები/პრობლემები, მათ შორის მშობლიურ ენასთან და ლიტერატურასთან მიმართებაში, თანამედროვე მეთოდოლოგიების და მიდგომების გამოყენებით, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და მის პრაქტიკულად გამოყენებას სფეროსა და საზოგადოების განვითარებისთვის. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ანგლისტი-ფილოლოგი, რომელსაც ექნება ინგლისური ენის, ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერების, ლიტერატურის მცოდნეობის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის საფუძველზე შეძენილი სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, დარგისთვის მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარებისა და შემდგომში გამოყენების უნარი, რაც ეხმარება ინტერნაციონალიზაციის საკითხს.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ანგლისტიკის მოქმედი სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

ითვალისწინებს რა ბაზრის კვლევის შედეგებსა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, პროგრამა მიზნად ისახავს სამაგისტრო საფეხურის სპეციალისტის/მკვლევრის მომზადებას, რომელსაც შეეძლება მიღებული კვალიფიკაციით მუშაობა და სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელება (თვითშეფასების ანგარიში).

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს. პროგრამა მოიცავს „რომანული ფილოლოგიის“ დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი შესაბამეა სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს აგრეთვე აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს სამი რომანული ენიდან (ფრანგული, იტალიური, ესპანური) ერთ-ერთი ენა, გააანალიზოს რომანული ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და კულტურის ასპექტები. აგრეთვე, სისტემური და სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს შეუძლია აწარმოოს კვლევა თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით, დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე, როგორც ერთ-ერთი რომანული ენის ფარგლებში, აგრეთვე კომპარატივისტულ ჭრილში.

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი პროგრამისა და სილაბუსების, ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანია „კვლევისა და სწავლების ერთიანობა; ცოდნის შექმნა და გადაცემა ხდება ერთი და იმავე ადამიანების მიერ, ხოლო სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ცოდნის შექმნის პროცესში; ზოგადი განათლებისა და სპეციალიზაციის ერთიანობა...; უნივერსალურისა და ლოკალურის ერთიანობა, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს მეცნიერების, როგორც საყოველთაო და უნივერსალურად გაზიარებადი ცოდნის წარმოებას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონალური, ნაციონალური და ლოკალური კონტექსტების მიმართ და უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის მძლავრ ცნობიერებას (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission>).

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის შედეგებით, მათი ანალიზითა და გათვალისწინებით. ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს განათლების სფეროში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, საგანმანათლებლო ორიენტაციის საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში, მუზეუმებში, სარეკლამო სააგენტოებში, სხვადასხვა პროფილის დაწესებულებების პრეს-ცენტრებში, ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებებში. გარდა ამისა, მან შეიძლება წარმართოს მთარგმნელ-თარჯიმნის საქმიანობა. იგი შეიძლება ჩაერთოს საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა პროექტებში, მიჰყვეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო საფეხურზე.

პროგრამის შემუშავებისას მოხდა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების შესწავლა (თვითშეფასების ანგარიში). კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მათი განხორციელების მოდელები. დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით განსაკუთრებით აღსანიშნავია ხანგრძლივი ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება მონპელიეს უნივერსიტეტთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, უნივერსიტეტი იძულებული გახდა შეეჩერებინა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მონპელიეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რადგან აღნიშნული ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კლასიფიკატორს. უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი საერთაშორისო პროგრამების განხორციელებას და ე.წ. ორმაგი/ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხელს უწყობს ხარისხის განვითარებას, ინტერნაციონალიზაციას, ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემის პრესტიჟისა და მის მიმართ ნდობის ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული, კლასიფიკატორიდან გამომდინარე ბარიერი რომანისტიკის მიმართულებით ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განსახორციელებლად.

ინტერნაციონალიზაციის ასპექტები იკვეთება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობით და უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითაც, რაც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ინტერვიუებისას და მოწოდებული დოკუმენტებითაც (ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) დადასტურდა.

ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაცია (გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები) ცხადყოფს, რომ პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (მაგალითად, Erasmus + და სხვ.).

„რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე უნივერსიტეტის ვებგვერდზე - <https://www.iliauni.edu.ge/>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში ჩაემატოს ინგლისური ენის B2 დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რათა პროგრამის მიზნები უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.

პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხები.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული, კლასიფიკატორიდან გამომდინარე ბარიერი რომანისტიკის მიმართულებით ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განსახორციელებლად.

შეფასება⁷

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁷ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აღწერილობები (კურიკულუმები) და სილაბუსები მოწმობს, პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის, მეექვსე და მეშვიდე დონეებს და მათ აღწერებს (ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმების შესაბამისად), ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს/აკადემიურ ხარისხებს. პროგრამების სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია როგორც შესაბამისი მიმართულებებით სიღრმისეული ცოდნის გადაცემა, ისე მისი პრაქტიკაში დანერგვის ასპექტები, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, სისტემური და ინტერპერსონალური უნარების გამომუშავება. საგანგებო ადგილი ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების კომპეტენციასაც. მხოლოდ რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით გამოითქვა რჩევა პროგრამის აღწერილობაში აღნიშნული კომპეტენციების ასახვის თაობაზე.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ფორმულირებულია შესაბამისი დარგების საჭიროებების შესაბამისად, შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროსთვის არსებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მექანიკურად არ იმეორებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის ფორმულირებებს, რის შედეგადაც შესაძლებელია თითოეული მათგანის გაზომვა შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოყვანილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია, ისევე როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია.

პროგრამების თვითშეფასების ანგარიშმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ, ისევე როგორც ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების განსაზღვრისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც მოიცავს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს და რომელიც გამოყენებულ იქნა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განახლების პროცესში (დეტალურად იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტისთვის). აღსანიშნავია, რომ პროგრამების სწავლის შედეგებს იცნობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებითაც. მხოლოდ საფრანგეთისმცოდნეობისა და რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით გამოითქვა რჩევა მათი ცნობადობის გაზრდის მიზნით.

ერთი მხრივ, “ანგლისტიკის” საბაკალავრო და სამაგისტრო, ხოლო, მეორე მხრივ, “საფრანგეთისმცოდნეობისა” და “რომანული ფილოლოგიის” პროგრამების სწავლის შედეგების შედარებამ ცხადყო, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება სირთულის და კომპლექსურობის თვალსაზრისით. ბაკალავრიატის საფეხურზე გათვალისწინებულია შედარებით უფრო ზოგადი

ცოდნის გადაცემა, ხოლო მაგისტრატურა ითვალისწინებს ღრმა და სისტემურ სწავლებას, რაც ასახულია პროგრამების სწავლის შედეგებშიც.

აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას და სწავლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა/დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელებას, შესაბამის პროგრამებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

“ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგების რუკაში მოცემულია პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსების შესაბამისობა პროგრამის ცხრა სწავლის შედეგთან. პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია იმის გათვალისწინებით, რომ ფარავს შინაარსით გათვალისწინებულ ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, დეტალური სფეროს აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს და ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

“გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რეალისტურად, არის მიღწევადი, გაზომვადი და ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, რაც დასტურდება სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკით (თითოეული შედეგი შეესაბამება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 3 მიზანს). სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, ასევე შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან - გასაუბრებამ ცხადყო, რომ თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობა მეტ-ნაკლები ინტენსივობით შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის „საფრანგეთისმცოდნეობა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია. მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების საფუძველზე და გათვალისწინებული აქტივობების მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში განსაზღვრული მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ეყრდნობა და ითვალისწინებს ენის

დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რაც პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნების მრავალფეროვნებით დასტურდება.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და მიღწევადი და რეალისტურია სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის შედეგების შეფასება ხდება უნივერსიტეტში აპრობირებული პირდაპირი (სემინარები, პრეზენტაციები და ა.შ.) და არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, აკადემური პერსონალისა და დამსაქმებლებლების გამოკითხვა, ინტერვიუები და ა.შ.) მეთოდებით. შედეგების გაზომვა ხდება გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, გაცივმა რეკომენდაციები.

იქიდან გამომდინარე, რომ „საფრანგეთისმცოდნეობის“ პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა მცირეა და ბაზარზე მოთხოვნა მზარდი (იხ. კურსდამთავრებულების კვლევის ანალიზი, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები), აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს/ფაკულტეტს, სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან გაამლიეროს კომუნიკაცია სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან მათთვის პროგრამის გაცნობისა და პროგრამაზე მათი მოზიდვის და სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და პროგრამათა დაჯგუფების განმაპირობებელი ასპექტები (იხ. თვითშეფასების ანგარიში).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

“რუსისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრული შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებელს, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს.

ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი არ ავალდებულებს დაწესებულებას, რომ სწავლის შედეგები აღწეროს ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, თუმცა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, განათლებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველია სტუდენტების უნარების განვითარება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კუთხით. როგორც კლასტერში შემავალი სხვა პროგრამების შეფასების პროცესმა, ისე რუსისტიკის პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი საგანგებო ყურადღებას უთმობს აკადემიური კეთილსინდისიერების თემასა და პლაგიატის პრევენციას, რაც პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარების განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ვურჩევთ პროგრამის განმახორციელებელ გუნდს, რომ პროგრამის აღწერილობაში რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

“ანგლისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგების რუკა ნათლად ასახავს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და

სავალდებულო-არჩევითი კურსების პროგრამის ცხრა სწავლის შედეგთან შესაბამისობას. პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია იმის გათვალისწინებით, რომ სრულყოფილად ფარავს შინაარსით გათვალისწინებულ ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, დეტალური სფეროს აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს და ამზადებს სტუდენტს სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ “ანგლისტიკის” საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სწავლის შედეგების ფორმულირებაში გათვალისწინებულია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სპეციფიკა. “ანგლისტიკის” საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს საბაზისო დარგობრივი ცოდნის გამომუშავებას, მაშინ როდესაც, “ანგლისტიკის” სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივ საკითხებთან მიმართებაში სიღრმისეულ ცოდნასა და კვლევას ეფუძნება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტის „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში გათვალისწინებულ იქნა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, რის საფუძველზეც პროგრამაში პრაქტიკული ენების ბლოკი გახდა სავალდებულო და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სამი სემესტრის მანძილზე შეისწავლონ ერთ-ერთი რომანული ენა (ფრანგული/იტალიური/ესპანური), რომელსაც კურსის დასრულებისას უნდა ფლობდნენ C1 დონეზე. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტი სწავლობს გარკვეულ საგნებს რომანული ენათმეცნიერებისა და რომანული ქვეყნების ლიტერატურის შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის მიზნებთან, ამასთანავე, პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს აქვს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ღრმა და სისტემური ცოდნა და შეუძლია აკადემიური სტანდარტის შესაბამისი კვლევითი ნაშრომის შექმნა.

სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ., სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) და სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის სამაგისტრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებული მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და უმეტესად მიღწევადი და რეალისტურია სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების და პროგრამის შეფასება ხდება უნივერსიტეტში აპრობირებული პირდაპირი (სემინარები, პრეზენტაციები და ა.შ.) და არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა, სატელეფონო ინტერვიუები და ა.შ.) მეთოდებით, ეფექტური ელექტრონული სისტემა

„არგუსის“ მეშვეობით. შედეგების გაზომვა ხდება გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, გაიცემა რეკომენდაციები.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და პროგრამათა დაჯგუფების განმაპირობებელი ასპექტები (თვითშეფასების ანგარიშში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიშში;
- პროგრამების აღწერილობა;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან;
- პროგრამების სწავლის შედეგების რუკები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.
კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს კომუნიკაცია სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, კერძოდ, სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან მათთვის პროგრამის გაცნობისა და პროგრამაზე მათი მოზიდვის და სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით.

პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (რუსისტიკა, ზაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი. იგი ითვალისწინებს შიდა თვითშეფასების პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე შემფასებლის, პროგრამების ხელმძღვანელების, სამუშაო ჯგუფების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის). პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხდება 5-3 წელიწადში ერთხელ, სწავლების თითოეული საფეხურის ხანგრძლივობის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიზანია:

1. დადგინდეს რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს;
2. დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.

პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად, სწავლების საფეხურის და პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები და გამოიყენება თვითშეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები - შეფასების ე.წ. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, მაგალითად: სტუდენტების აკადემიური მოსწრება, სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შემავალ კურსებთან დაკავშირებით, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა პროგრამასთან დაკავშირებით, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება სამიზნე ნიშნულების საფუძველზე, დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის შესახებ, პროგრამის კოლეგიალურის შეფასება (გარე რევიუ), სტუდენტების გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები და სხვ.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუმ დაადასტურა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება უკვე მოხდა ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტების ნაწილის

საშუალებით. მაგალითად, გამოყენებულ იქნა პროგრამების სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, პროგრამების სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შეთავაზებული კურსების შესახებ, პროგრამების დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა პროგრამების შესახებ, პროგრამების შეფასების მიზნით დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფები, სამაგისტრო პროგრამების შეფასების მიზნით კოლეგიალური გარე შეფასება და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პროცესი იყო თანმიმდევრული, საჯარო და გამჭვირვალე. შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლების დროს და აისახა სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამების კონცეფციაში, სტრუქტურასა და სილაბუსებშია (აღნიშნული პროცესის შესახებ დეტალურად იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტისთვის).

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად (საუნივერსიტეტო რეგულაციების გაცნობა, მიმოწერა, სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები და სხვ.), პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სისტემურად აქვთ კომუნიკაცია და უკუკავშირი პროგრამების ხელმძღვანელებთან, სხვადასხვა სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორთან, რათა მუდმივად იყონ ინფორმირებული იმ პროგრესზე, რაც სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში აქვთ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს სწავლის შედეგების შეფასების ინდივიდუალური, განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- პროგრამების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- პროგრამების სწავლის შედეგების რუკები;
- პროგრამების განხორციელების შეფასების წესი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაცია ან რჩევა არ გაცემულა.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების დაცვით, რომელიც პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და ეტაპებს მოიცავს. პროგრამებმა შემუშავების შემდეგი ეტაპები განვლო: პროგრამის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება (შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი); სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის სრული პაკეტის შემუშავება; პროგრამის გაცნობა პოტენციური დამსაქმებლებისთვის და ფოკუს-ჯგუფთან მუშაობა; კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფთან მუშაობა; გარე შეფასების პროცედურა; პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ უკუკავშირის შედეგად მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება; სწავლის შედეგებისა და მათი შეფასების მექანიზმის განსაზღვრის თაობაზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაცია და უკუკავშირი; პროგრამის საბოლოო ვერსიის განხილვა მეცნიერებათა

და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი პროგრამისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის განხილვა პროგრამის შიდა და გარე სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე და პროგრამის დამტკიცება.

ვიზიტის დროს განხორციელებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა თვითშეფასების დოკუმენტის განაცხადი, რომ პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის აგებისას გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების მოსაზრებები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.). მხოლოდ “რუსისტიკის” საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გამოითქვა რჩევა პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობის შესახებ.

კლასტერში წარმოდგენილი ენის დაუფლების დეტალური სფეროს სხვადასხვა საფეხურის პროგრამების შინაარსი სრულ თანხვედრაშია სწავლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და ითვალისწინებს შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობა, კანონმდებლობისა და დეტალური სფეროს სპეციფიკის შესაბამისად, რვა და ოთხი სემესტრია და 120 და 240 კრედიტს მოიცავს. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, თუმცა რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით გამოითქვა ტექნიკური ხასიათის რჩევა.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევითი კურსები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ერთობლივად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებულ მიღწევას. პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება; საგანთა წინაპირობები, ძირითადად, ადეკვატური და აუცილებლობიდან გამომდინარე, თუმცა გამოყენებითი გერმანისტიკისა და რუსისტიკის საბაკალავრო, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ცალკეული კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით გამოითქვა რჩევა და რეკომენდაციები. ასევე ჩამოყალიბდა რეკომენდაცია ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი საგნის სტატუსის ცვლილების თაობაზე.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სავალდებულო/ძირითადი სასწავლო მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები ითვალისწინებენ ახალი კვლევის შედეგებს და ენის დაუფლების დეტალური სფეროს თანამედროვე მიღწევებს. სწავლების დროს ასევე გამოიყენება შედარებით ადრე გამოცემული, თუმცა დღემდე აქტუალური, რელევანტური ან უკვე კლასიკად ქცეული ლიტერატურაც (ცალკეული გამონაკლისის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა 1.5, ხოლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას შესახებ ინფორმაციისთვის იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა 1.1).

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

“ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი “საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების” მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქიდან 60 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტს - ზოგადი მოდული, რომლის ფარგლებში ისწავლება შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და II, აკადემიური მუშაობის ტექნიკები, სტატისტიკა, ინგლისური ენის კურსი, ინგლისურენოვანი დისკურსი და შესავალი კურსები. ინგლისური ენის კურსი თავის მხრივ ფარავს A1 - C1 დონეებს. ჩარიცხვა ხდება არა პროგრამაზე, არამედ ფაკულტეტზე. სტუდენტები მათთვის სასურველ ძირითად პროგრამას ირჩევენ სწავლების მეორე წელს. ანგლისტიკის მიმართულების ძირითადი დარგობრივი კურსების ასარჩევად

სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის A2 დონე. სტუდენტების დონეებად გადანაწილება ხდება ტესტირების საშუალებით.

პროგრამაში სწავლის ძირითადი სფეროს 120 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ანგლისტიკის პროგრამის სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი (ანგლისტიკის შესავალი, ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, ინგლისური ენის თეორიის საფუძვლები, ინგლისური ენის გრამატიკის თეორია, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ენის სტილისტიკა, ინგლისურენოვანი დისკურსი (FCE Preparation 1 და 2)); ანგლისტიკის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 60 კრედიტი (მათ შორის: ენის პრაქტიკული კურსები, ლიტერატურათმცოდნეობის კურსები - სულ მცირე 12 კრედიტი, ლინგვისტიკის კურსები - სულ მცირე 12 კრედიტი, ისტორიისა და კულტურის კურსები - სულ მცირე 6 კრედიტი). პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა დისკუსიაში პრაქტიკული ინგლისური ენის საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით. პროგრამაზე მომუშავე გუნდმა გაითვალისწინა ამ ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნა/საჭიროება და პრაქტიკული ინგლისური ენის 6 საკონტაქტო საათი გაიზარდა 8 საკონტაქტო საათამდე.

ანგლისტიკის არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილია 12 კრედიტი. პროგრამა ასევე ითვალისწინებს 60 კრედიტს დამატებითი პროგრამისთვის ან თავისუფალი კომპონენტისთვის. სტუდენტებს შეუძლიათ სხვა მიმართულებების მიერ შეთავაზებული დამატებითი პროგრამები აირჩიონ. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, ისინი ხშირად ე.წ. თავისუფალ კრედიტებს იყენებენ თავიანთი პროგრამის საგნების შესასწავლად.

პროგრამა მრავალფეროვანია თავისი შინაარსით, რომელიც ფარავს ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვისტიკის, ბრიტანეთის ან/და ამერიკის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს და რაც, თავის მხრივ, ინგლისური ენის პრაქტიკულ კომპონენტთან და ინგლისურენოვან საგნებთან ერთად, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამის ინდივიდუალურობა წარმოჩნდება სწორედ სავალდებულო-არჩევითი ბლოკების შეთავაზებით, სადაც ერთმანეთთან შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებული სასწავლო კურსებია დაჯგუფებული, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას უფრო გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო მიმართულებით. ინგლისური ენის, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ლინგვისტიკისა და კულტურის ბლოკებში შეთავაზებული საგნები ისეთი ლოგიკით არის შერჩეული და დაჯგუფებული, რომ თუ სტუდენტი სავალდებულო კურსის გარდა აირჩევს ნებისმიერ არჩევით საგანს, მაინც გადის ამ კონკრეტული ბლოკის სწავლის შედეგებზე.

პროგრამაში სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურად და შინაარსობრივად არის დაკავშირებული, რაც მიიღწევა შესაბამისი წინაპირობებით.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მათი ჩართულობა საკუთარი კურსების ფარგლებში.

ანგლისტიკის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა, კურსების კატალოგი და საგნების სემესტრული გადანაწილება ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

“გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) სრულად შეესაბამება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტს“ და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის ზოგადი მოდულის 60 კრედიტს, ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტს, ხოლო 60 კრედიტის ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს დამატებითი პროგრამის ან თავისუფალი კრედიტების არჩევანს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. თანმიმდევრულია პროგრამის სტრუქტურა, რაც

გულისხმობს მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი თემატიკიდან რთულზე გადასვლას, ასევე სასპეციალიზაციო ენის დაუფლებას დონეების მიხედვით. „გამოყენებითი გერმანისტიკის შესავალი“ აძლევს სტუდენტს ზოგად ცოდნას, რაც დაეხმარება სავალდებულო-არჩევითი კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების არჩევისას. პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამაში ენის კურსები სავალდებულო-არჩევითი კურსის სტატუსს ატარებს, მაგრამ თითოეული დონე მომდევნო საფეხურის წინაპირობაა, რაც ბუნდოვანს ხდის არჩევითობის შესაძლებლობას. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს მსვლელობისას დაზუსტდა, რომ სავალდებულო-არჩევითის სტატუსი მიენიჭა ენის კურსებს, რათა მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტის მიღების შემთხვევაში, მიეცათ მისთვის დონის შესაბამისი კურსის არჩევის შესაძლებლობა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, რომ პროგრამის აღწერილობაში/სტრუქტურაში/სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახოს დამკვიდრებული პრაქტიკა და დეტალურად გაწეროს ენის ცოდნის აღიარების მექანიზმები (საერთაშორისო სერთიფიკატი, შიდა საუნივერსიტეტო ტესტი და სხვა), რაც დაეხმარება სტუდენტს დაუბრკოლებლად აირჩიოს მისთვის რელევანტური გერმანული ენის კურსი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, როგორცაა მაგალითად, თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ძირითად და დამატებით ლიტერატურად გამოყენება, სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, უცხოელი კოლეგების მიერ წაკითხული ლექციები და სხვ. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გერმანული ენის ავსტრიული საგამოცდო ცენტრი, როგორც ხარისხის განვითარების დამატებითი მოტივაცია გერმანისტიკის მიმართულების სტუდენტებისა და ლექტორებისთვის, რაც აკრედიტაციის ექსპერტების მიერ პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ იქნა მიჩნეული.

საზღვარგარეთ არსებული ანალოგიური პროგრამების თანამედროვე მიდგომებისა და პოზიტიური გამოცდილების გაზიარების, აგრეთვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების შედეგია პროგრამის „გამოყენებით გერმანისტიკად“ მოდიფიცირება, რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი არის კარგად გააზრებული - არამომგებიანი და ერთი შეხედვით ბაზარზე არაორიენტირებული სპეციალობა მორგებულია ბაზრის მოთხოვნებზე, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საფრანგეთისმცოდნეობა“ (შემდგომში - პროგრამა) აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; კერძოდ, მისი მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურს - ბაკალავრიატს. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

პროგრამის სტრუქტურა:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი
- დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის კურსები - 24 კრედიტი

- შესავალი კურსები - 12 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:
- საფრანგეთის მცოდნეობის პროგრამის სავალდებულო კურსები - კოდით - HUMFRGEN – 72 კრედიტი
 - საფრანგეთის მცოდნეობის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMFR- არანაკლებ 42 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები
 - საფრანგეთის მცოდნეობის არჩევითი კურსები კოდით - HUMFR – მაქსიმუმ 6 კრედიტი
- სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსებისათვის განსაზღვრული 6 კრედიტი დააგროვოს HUMFR სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან.

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით ლოგიკური და თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, რომელსაც 10 ECTS-ის კრედიტი ეთმობა. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი წერს მისი ინტერესების სფეროს შესაბამისად (იხ. თვითშეფასების ანგარიში).

სტუდენტების აქტივობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, გამოცდების მომზადება-ჩაბარება, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS), უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანთან (საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება) შესაბამისობაშია.

როგორც თვითშეფასების ანგარიშსა და „საფრანგეთის მცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამაში აღნიშნული, სწავლების VIII სემესტრის ბოლოს, პროგრამის დასრულებისას, სტუდენტებს შეუძლიათ წარმოდგინონ საბაკალავრო ნაშრომი. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტულ დარგში (ლინგვისტიკაში ან ლიტერატურაში), რომელშიც სტუდენტს გამოყენებული ექნება სასწავლო კურსების გავლით მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები. არსებული პრაქტიკა მოწმობს, რომ სტუდენტები იზვიათად ირჩევენ საბაკალავრო ნაშრომს როგორც ლინგვისტიკაში, ისე ლიტერატურაში, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან და საგნების მასწავლებლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს და თვითშეფასების ანგარიშით).

საბაკალავრო ნაშრომის შესრულება საშუალებას აძლევს სტუდენტს, მიღებული ცოდნისა და გამოიმუშავებული/გადრმავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე განახორციელოს ინოვაციური ხასიათის ინტერდისციპლინარული კვლევა დარგის არჩეულ მიმართულებაში.

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების შედგენისას გამოყენებულია უახლესი მეთოდები და სასწავლო მასალა, ხოლო სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების პროცესში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად ნათელია, რომ პროგრამის შემუშავებაში საკმაო ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ისინი იცნობენ პროგრამის სპეციფიკას, სტრუქტურისა და შინაარსის კონკრეტულ დეტალებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

“რუსისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS-ის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას. 240 კრედიტიდან 60 კრედიტი ეთმობა ზოგად მოდულს, სწავლის ძირითადი სფერო შეადგენს 120 კრედიტს, რომლის ფარგლებში სტუდენტები ითვისებენ სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ან პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილი ყოფილიყო მეტი ინფორმაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და საგნების არჩევის პრინციპების შესახებ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები ძირითადად ლოგიკურად არის დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად, კურსების სემესტრული გადანაწილების წარმოდგენილ სქემაში მითითებულია, რომ რუსული ენის თეორიული კურსი იწყება მეხუთე სემესტრში კურსით „რუსული ენის მორფოლოგია“ (წინაპირობით - რუსული ენის პრაქტიკული კურსი A2), შემდეგ მეექვსე სემესტრში ისწავლება „რუსული ენის ლექსიკოლოგია“ (წინაპირობით - რუსული ენის პრაქტიკული კურსი B1.1), მეშვიდე სემესტრში კი - „რუსული ენის ფონეტიკა“ (წინაპირობით - რუსული ენის პრაქტიკული კურსი B1.1). გარდა ამისა, სტილისტიკის შესწავლა უსწრებს რუსული ენის სინტაქსის შესწავლას, რის გამოც სტუდენტებს შეიძლება სირთულეები შეექმნათ რუსული სინტაქსის სტილისტური ხერხების ათვისების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია თავდაპირველად რუსული ენის სინტაქსის, ხოლო შემდეგ რუსული ენის სტილისტიკის სწავლება.

პროგრამა ნაკლებად ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს, რაც გარკვეულწილად ობიექტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზეზებით არის გამოწვეული, თუმცა აღნიშნული ვითარების დასაბალანსებლად ვურჩევთ პროგრამის განმახორციელებელ გუნდს ევროპის სლავურ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებას რუსისტიკა-სლავისტიკის მიმართულებით, მით უმეტეს, რომ შესაბამისი პოზიტიური გამოცდილება უნივერსიტეტში უკვე არსებობს პოლონური ენის მიმართულებით.

ინტერვიუების პროცესში წარმოჩნდა, რომ „რუსისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში შედარებით ნაკლებად ლეზულობდნენ მონაწილეობას სტუდენტები და, შესაბამისად, ვურჩევთ დაწესებულებას ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ილიაუნის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას (უნივერსიტეტში წარმატებით მოქმედებს ელექტრონული საინფორმაციო სისტემა „არგუსი“).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

“ანგლისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი “საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების” შესაბამისად. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვან თანამედროვე კვლევების შედეგებს, რაც განპირობებულია პროგრამაში ძლიერი კვლევითი ბლოკის არსებობით (სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები და ლინგვისტური კვლევის მეთოდები). პროგრამის შინაარსი მრავალფეროვნად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი ანგლისტიკის თანამედროვე ენათმეცნიერების კონტექსტში განხილვით, რომელიც ლოგიკურად არის დაკავშირებული თარგმანმცოდნეობის, ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის, კულტურის,

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა და გამოყენებითი ენათმეცნიერების ბლოკებთან, ინგლისურენოვან კომპონენტთან, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს დარგისთვის მნიშვნელოვან ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

პროგრამაში თარგმანმცოდნეობის ბლოკი მოიცავს 6 საგანს: თარგმანმცოდნეობა, ინგლისურ-ქართული დარგობრივი თარგმანი 1 (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები), თარგმანმცოდნეობა, ინგლისურ-ქართული დარგობრივი თარგმანი 2 (სამეცნიერო ჰუმანიტარული ტექსტები), ენა და სტილი, ლინგვოკულტუროლოგია და თარგმანი და მთარგმნელობითი ტექნოლოგიები. თარგმანმცოდნეობის ბლოკი გადის პროგრამის მეხუთე შედეგზე, რომელიც გულისხმობს ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმანის უნარის გამომუშავებას. ამ სწავლის შედეგის მიღწევა ნაკლებ რეალისტურია, გამომდინარე იქიდან, რომ თარგმანმცოდნეობის ბლოკში სავალდებულო კურსი არის მხოლოდ თარგმანმცოდნეობა (6 კრედიტი). ამ ბლოკიდან სტუდენტი ვალდებულია აიღოს მინიმუმ 6 კრედიტი. თარგმანმცოდნეობის კურსის მიზანია თარგმანის კვლევის ისტორიისა და თანამედროვე პარადიგმების შესახებ სისტემური ცოდნის ფორმირება. კურსი ეხმარება სტუდენტს იკვლიოს თარგმანმცოდნეობის საკვანძო და აქტუალური საკითხები და თარგმანის თეორია დააკავშიროს პრაქტიკასთან. თარგმანმცოდნეობის კურსის ძირითადი თემატიკა და შეფასების მეთოდები დაკავშირებულია თარგმანის კვლევასთან.

თარგმანმცოდნეობის ბლოკში მოცემულია კიდევ ორი საგანი “ენა და სტილი” და “ლინგვოკულტუროლოგია”. ლინგვოკულტუროლოგიის სასწავლო კურსის მიზანია “ინტერდისციპლინარული კვლევის უნარის ხელშეწყობა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესწავლა, კულტურული ფაქტების დაკავშირება ენობრივ ფაქტებთან და ლინგვისტური მონაცემების გამოყენება კულტურული ფაქტების ინტერპრეტაციისათვის” (კურსის სილაბუსი). კურსის ფარგლებში იფარება შემდეგი თემები: ლინგვოკულტუროლოგიის საგანი და ამოცანები; ენა, კულტურა, ბუნება და ადამიანი; ენისა და კულტურის ურთიერთობის საკითხი; კულტურული კონოტაცია როგორც კულტურის ექსპონენტი ენობრივ ნიშანში; სამყაროს ენობრივი სურათები (ტიპოლოგიური შედარება); სიმბოლო, სტერეოტიპი და მეტაფორა ენასა და კულტურაში; ენა, კულტურა და ნაციონალური მენტალიტეტი; “ენა და სტილის” კურსის მიზანია “ქართული სალიტერატურო ენის პრაგმატული ცოდნის განმტკიცება, ლიტერატურული მეტყველებისა და წერის კულტურის განვითარება” (კურსის სილაბუსი). კურსის ფარგლებში იფარება შემდეგი თემები: სტილისტიკის საგანი და ამოცანები, პრაქტიკული სტილისტიკა, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, სალიტერატურო ენა და ნორმის საკითხი, ფუნქციური სტილისტიკა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგნები “თარგმანმცოდნეობა”, “ენა და სტილი” და “ლინგვოკულტუროლოგია” ეხმარება თარგმანისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას, მაგრამ პირდაპირ არ უნვითარებს სტუდენტს ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმანის კომპეტენციას ისე, როგორც ეს მკაფიოდ ჩანს დანარჩენ სამ საგანში (ინგლისურ-ქართული დარგობრივი თარგმანი 1 (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები); ინგლისურ-ქართული დარგობრივი თარგმანი 2 (სამეცნიერო ჰუმანიტარული ტექსტები); თარგმანი და მთარგმნელობითი ტექნოლოგიები), რომელიც შესაძლოა არ აირჩიოს სტუდენტმა. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ სტუდენტები აუცილებლად ირჩევენ დარგობრივი თარგმანის კურსებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მეხუთე შედეგის მიღწევას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მაინც არსებობს თეორიული შანსი, სტუდენტმა არ აირჩიოს ეს საგნები, რეკომენდებულია პროგრამის მეხუთე შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული კურსი გახდეს სავალდებულო.

პროგრამის კურსების კატალოგში და სემესტრულ გადანაწილებაში მოცემულია მათი წინაპირობები. პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად ვითარდება და მათზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ძირითადად ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა გარკვეულ საგნებში საჭიროებს დაზუსტებას.

სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკის კურსის წინაპირობაა, რომ სტუდენტებს გავლილი ჰქონდეთ გარკვეული თეორიული საგნები, რომ შემდგომ საკურსო ნაშრომისთვის თემის შერჩევა. რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომელი თეორიული საგნების გავლა არის მნიშვნელოვანი საკურსო ნაშრომისთვის თემისა და საკითხის შესარჩევად.

გარდა ამისა, პროგრამაში სამი კურსის (1. ანგლო-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია; 2. კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი; 3. ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობა) წინაპირობები განსხვავებულად არის მოცემული კურსების კატალოგში/სემესტრულ გადანაწილებაში და თავად კურსების სილაბუსებში. კურსების კატალოგში და სემესტრულ გადანაწილებაში სამივე, ზემოთ აღნიშნული საგნის შემთხვევაში წინაპირობად მოცემულია ინგლისური ენა B2. პროგრამაში ამ სახელწოდებით არ არის არცერთი კურსი. თავად სილაბუსებში განსხვავებული წინაპირობებია მოცემული. „ანგლო-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიას“ არ აქვს წინაპირობა, ხოლო საგნებში „კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზისა და ტექსტის ანალიზი“ და „მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობის“ დაშვების წინაპირობაა საბაზისო ცოდნა ლინგვისტიკაში (მორფოლოგია, ფონოლოგია და სინტაქსი). რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რომელი სასწავლო კურსებით არის შესაძლებელი მსგავსი თეორიული საკითხების შესწავლა და ეს საგნები მიეთითოს წინაპირობად.

ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი C1.1-ის წინაპირობა არის ინგლისური ენა B2 ან შესაბამისი ტესტირების გავლა. თავად პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ინგლისური ენის B2 დონე. შესაბამისად, ცალკეული სასწავლო კურსების შემთხვევაში დონის დასადგენი ტესტირება საჭირო აღარ უნდა იყოს.

ანგლისტიკის მოქმედი სამაგისტრო პროგრამა, კურსების კატალოგი და სემესტრული გადანაწილება ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტის მიერ კლასტერში წარმოდგენილი საგანგებო საგანმანათლებლო პროგრამა „რომანული ფილოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის, აგრეთვე უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის და პროცედურების“ შესაბამისად. პროგრამის მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს - მაგისტრატურას.

პროგრამამ გაიარა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების რეაკრედიტაციისთვის ყველა საჭირო ეტაპი. პროგრამას გავლილი აქვს გარე შეფასება. კერძოდ, პროგრამა შეფასებულ იქნა პოლ ვალერის უნივერსიტეტის ენის მეცნიერებების პროფესორ კარმენ ალენ გარაბატოს მიერ. პროგრამის მომზადებაში მის ხელმძღვანელთან, პროფესორებთან ერთად ჩართულები იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამა დამტკიცებულ იქნა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სწავლების ხანგრძლივობა კი მოიცავს სტანდარტულად 2 აკადემიურ წელს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული ECTS-ის კრედიტების რაოდენობა შემდეგი სქემის მიხედვით: სავალდებულო კურსები: 30 ECTS კრედიტი, სავალდებულო არჩევითი კურსები - 48 ECTS კრედიტი, არჩევითი კურსები - 48 ECTS კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი.

მაგისტრანტთა საქმიანობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, გამოცდების მომზადება-ჩაბარება, რეფერატის მომზადება/პრეზენტაცია ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS) უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს (სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება) ეხმიანება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის საჭირო კვლევითი უნარების გამომუშავება ხდება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.

როგორც თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამაში აღნიშნული, სწავლების IV სემესტრში სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება საშუალებას აძლევს სტუდენტს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული/გაღრმავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე განახორციელოს ინოვაციური ხასიათის ინტერდისციპლინარული კვლევა დარგის არჩეულ მიმართულებაში. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, კონსტრუირებისა და წარდგენისათვის სტუდენტს აქვს სათანადო ცოდნა და კომპეტენცია აკადემიური წერის სტანდარტების, მათი აპლიკაციის, და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. სტუდენტის მიერ elearning.iliauni.edu.ge-ის ელექტრონულ პორტალზე ატვირთული დავალებები/რეცენზიები პლაგიატზე მოწმდება პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით.

პროგრამის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს „აკადემიური წერის“ კურს აკადემიური წერის ცენტრის ბაზაზე. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების უმეტესობა „აკადემიური წერის“ კურსს გადის სამაგისტრო საფეხურზე ორი სემესტრის გავლის შემდეგ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა შერჩეული სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომისთვის არსებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა მიერ პროგრამის შეფასებისას ისევე, როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ საგანთა სემესტრული განაწილებისას დაცულია საგანთა წინაპირობები.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ისინი იცნობენ პროგრამის სპეციფიკასა და ადმინისტრირების დეტალებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა და სტრუქტურა;
- პროგრამების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამების სწავლის შედეგების რუკები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში/სტრუქტურაში/სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს დამკვიდრებული პრაქტიკა და დეტალურად გაიწეროს ენის ცოდნის აღიარების მექანიზმები (საერთაშორისო სერთიფიკატი, შიდა საუნივერსიტეტო ტესტი და სხვა), რაც დაეხმარება სტუდენტს დაუბრკოლებლად აირჩიოს მისთვის რელევანტური გერმანული ენის კურსი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში მოხდეს თავდაპირველად რუსული ენის სინტაქსის, ხოლო შემდეგ რუსული ენის სტილისტიკის სწავლება და აღნიშნული საკითხი დარეგულდეს შესაბამისი სასწავლო კურსების წინაპირობებით.

რჩევ(ებ)ი:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილ იქნას მეტი ინფორმაცია ილიაუნის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და საგნების არჩევის პრინციპების შესახებ.
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას ევროპის სლავურ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება-განმტკიცება რუსისტიკა-სლავისტიკის მიმართულებით, მათ შორის პოლონური ენის სწავლების მიმართულებით უნივერსიტეტში უკვე არსებული პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინებით.
- სასურველია, რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მეტი ჩართულობა.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაში დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმანის უნარის გამომუშავება.
- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაში დაზუსტდეს შემდეგი შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: 1. სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა; 2. ანგლო-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია; 3. კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი; 4. ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობა.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) კომპეტენციების რუკების, სილაბუსების, ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო კურსთა სტრუქტურა, წინაპირობები, სწავლების მეთოდები და რესურსები სტუდენტებს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. ექვსივე პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები განაპირობებს კრედიტების განაწილებას, სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ადეკვატურ შეფარდებას. სილაბუსებში სათანადოდაა განსაზღვრული შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რაც სტუდენტის პროგრესზე უწყვეტი დაკვირვების საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგის მიღწევას. მხოლოდ გამოყენებითი გერმანისტიკისა და რუსისტიკის თითო სასწავლო კურსის მიზნებთან, შედეგებთან და შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მოხდა რეკომენდაციის ჩამოყალიბება.

ექვსივე პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სფეროსათვის აქტუალურ, თანამედროვე მიღწევებისა და ტენდენციების ამსახველ მრავალფეროვან ლიტერატურასა თუ სასწავლო რესურსებს მოიცავს, რომელთა რაოდენობა და ხარისხიც სრულიად შეესაბამება სწავლების დონეს. მხოლოდ ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო, გამოყენებითი გერმანისტიკის ცალკეულ სილაბუსში მითითებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამოითქვა რჩევა და რეკომენდაციები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის პორტალზე, ელექტრონული სისტემა „არგუსის“ ან პორტალ E-learning-ის მეშვეობით.

სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, SAGE და სხვა) როგორც ადგილზე, უნივერსიტეტში, ასევე არასაუნივერსიტეტო სივრცეში (კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით), რაც უდავოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში.

სასწავლო კურსების ეფექტიანობა მოწმდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვით, რომელიც სასწავლო კურსების შინაარსს, მოცულობას, რესურსებს, სტუდენტთა დატვირთვასა და შეფასების სისტემას ეხება. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისა და კურსის განმახორციელებელი პირისთვის, კომპონენტის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

“ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები ქმნის 48 კრედიტს. უფრო მეტი კრედიტი ეთმობა სავალდებულო-არჩევით (60 კრედიტი) და არჩევით საგნებს (12 კრედიტი). პროგრამის ძირითად სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებში კრედიტების განაწილება ლოგიკურია. შესაბამისად, ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ მოხდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების/საჭიროებების გათვალისწინება პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნების კუთხით. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ასახულია პროგრამის კომპეტენციათა რუკაში. პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტების და კრიტერიუმების საფუძველზე. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ასახავს დარგისთვის რელევანტურ ტენდენციებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს, რომ რამდენიმე სილაბუსში მიეთითოს გამოცემის წლები და განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. კერძოდ, რეკომენდებულია შემდეგ სილაბუსებში სახელმძღვანელოებს მიეთითოს გამოცემის წლები: ინგლისურენოვანი დისკურსი (FCE Preparation 1 და 2); ინგლისურენოვანი დისკურსი (Intermediate 1); ინგლისურენოვანი დისკურსი (Pre-Intermediate 2); ინგლისურენოვანი დისკურსი (Intermediate 2); ინგლისურენოვანი დისკურსი (Upper-intermediate 2)).

ინგლისურენოვანი დისკურსის სილაბუსებში (ინგლისურენოვანი დისკურსი -Pre-Intermediate 2; ინგლისურენოვანი დისკურსი -Intermediate 1; ინგლისურენოვანი დისკურსი -Intermediate 2; ინგლისურენოვანი დისკურსი -Upper-intermediate 1 და ინგლისურენოვანი დისკურსი -Upper-intermediate 2) გამოყენებულია 2011 წლის ზოგადი ინგლისური ენის სახელმძღვანელო - New Total English Series by Araminta Grace & Richard Acklam. სასურველია განახლდეს ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელო.

ინგლისურენოვანი დისკურსის (FCE Preparation 1) კურსში სავალდებულო სახელმძღვანელოდ გამოყენებულია READY FOR FIRST COURSEBOOK 3RD edition; ROY NORRIS- 2016 წელი. 2021 წელს უკვე გამოვიდა ამ სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა (<https://www.macmillanenglish.com/catalogue/courses/exam-preparation/ready-for-b2-first-4th-edition/course-information>), რომელიც უფრო თანამედროვე აუთენტური მასალით არის

გამდიდრებული. შესაბამისად, სასურველია განახლდეს აღნიშნული სასწავლო კურსის სახელმძღვანელოც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

“გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 6 კრედიტს და ითვალისწინებს 30-34 საკონტაქტო საათს სემესტრში. გამონაკლისს წარმოადგენს ენის პრაქტიკული კურსი, სადაც 6 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებულია 120 საკონტაქტო საათი, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება ენის შესწავლის ევროპულ გამოცდილებას. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სასწავლო კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების „შემოქმედებითი წერა“ და „ლიტერატურული კრიტიკა“ (ლექცია და სემინარი) სილაბუსებში ძირითად და დამხმარე ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ პირველადი წყაროები - მხატვრული ლიტერატურა. რეკომენდებულია, „შემოქმედებითი წერისა“ და „ლიტერატურული კრიტიკის“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას დაემატოს მეორადი წყაროებიც - სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა.

სასწავლო კურსის „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანის“ მიზანია „შეასწავლოს სტუდენტებს დარგობრივი თარგმნის თეორია და ტექნიკა, რაც აუცილებელია საშუალო სირთულის გერმანულენოვანი ტექსტების ქართულ ენაზე თარგმანის განსახორციელებლად“, ხოლო სწავლის შედეგად განსაზღვრულია შემდეგი - „შეუძლია მარტივი და საშუალო სირთულის პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული ტექსტების გერმანულიდან ქართულზე და პირიქით თარგმნა“. ამავდროულად შეფასების მექანიზმი არ ითვალისწინებს ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შემოწმებას. შესაბამისად, რეკომენდებულია „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანის“ სილაბუსში დაზუსტდეს და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს მიზნები, შედეგები და შეფასების მექანიზმი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის “საფრანგეთისმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში მოცემული კურსები, მათში გაწერილი შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების შედეგები შესაბამისობაშია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან.

სასწავლო კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 6 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედურ გამოცდასა და დასკვნით გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვისა და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა) და სხვ.

პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის, მისი ავტორების, განმახორციელებელი პირების, სასწავლო კურსის მიზნების, კრედიტების რაოდენობისა და საათების განაწილების, დაშვების წინაპირობების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების, ცოდნის შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების, სწავლის შედეგების, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. პროგრამის ფარგლებში მოქმედი საგნებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს და ნებისმიერი სტუდენტისა და დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო კატალოგში ბეჭდური და ელექტრონული ფორმით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

“რუსისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კურსის ასათვისებლად გამოყოფილია ექვს-ექვსი კრედიტი, სააუდიტორიო საათების რაოდენობა განსხვავდება საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. მისასალმებელია, რომ უცხოური ენების პრაქტიკული კურსების ფარგლებში საკმარისი დრო ეთმობა სააუდიტორიო მეცადინეობებს. ერთი კრედიტი უდრის 20 სააუდიტორიო შეხვედრას (6 კრედიტი: საკონტაქტო - 120 სთ., 30 სთ. - დამოუკიდებელი მუშაობისთვის), რაც მეტყველებს დასახული მიზნების მიღწევადობაზე. თეორიულ კურსებში კი შეფარდება იცვლება: მცირდება საკონტაქტო საათები და იზრდება დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათები, რაც სავსებით ლოგიკური და მისაღებია.

თეორიული ხასიათის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მიღწევადია, თუმცა ცალკეულ კურსებში მითითებული შედეგები ნაკლებად რეალისტურია. მაგალითად, სასწავლო კურსი „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“ ითვალისწინებს შემდეგი პრაქტიკული უნარის გამომუშავებას: „კურსი ემზადებს სტუდენტს წაიკითხოს სლავურ ენებზე დაწერილი ტექსტი“. კურსის მოცულობა 6 კრედიტია, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 32 საათი, საიდანაც 13 საათი ეთმობა „სააუდიტორიო ლექციას“ და 13 საათი - სემინარს, 6 საათი - შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსის შინაარსიდან ჩანს, რომ მის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ ოთხი სლავური ენის (უკრაინული, ბელორუსული, პოლონური, ბულგარული) გრაფიკას და ფონეტიკას და ოთხივე ენაზე კითხულობენ და ანალიზებენ პარალელურ რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, პოლონურ და ბულგარულ ტექსტებს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის შინაარსი არ შეესაბამება სათაურს („სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“), ვინაიდან განხილულია სლავების წარმოშობის საკითხი და ისტორიული ფონეტიკის ცალკეული მოვლენები, მაგრამ საერთოდ არ არის განხილული სლავური გრამატიკული სისტემების თავისებურებანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასწავლო კურსის მიზნები და შედეგებიც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება საგნის სახელწოდებას. შესაბამისად, რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსის - „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“ - მიზნები, შედეგები და შინაარსი, დაემატოს სლავური გრამატიკული სისტემების თავისებურებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიზნების, შედეგების და საგნის შინაარსის შესაბამისობა მის სახელწოდებასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

“ანგლისტიკის” სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები ქმნის 18 კრედიტს. უფრო მეტი კრედიტი ეთმობა სავალდებულო-არჩევით (54 კრედიტი) და არჩევით საგნებს (18 კრედიტი). 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებში კრედიტების განაწილება ლოგიკურია. შესაბამისად, ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების გათვალისწინებით. საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავებით, აქ მეტი აქცენტი კეთდება კვლევით კომპონენტზე. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოხდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების/საჭიროებების გათვალისწინება პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნების კუთხით. ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ასახულია პროგრამის კომპეტენციათა რუკაში. პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტების და კრიტერიუმების საფუძველზე. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ასახავს დარგისთვის რელევანტურ ტენდენციებს, თანამედროვე კვლევებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის სილაბუსში რეკომენდებულია სავალდებულო

ლიტერატურის განახლება. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) და (2)-ში გამოყენებულია Gold Advanced Exam Maximizer (with 2015 exam specification) by Lynda Edwards, Jacky Newbrook, Pearson 2015. არსებობს ამ წიგნის 2018 წლის ვერსია, რომელიც უფრო თანამედროვე აუთენტური მასალით არის გამდიდრებული. შესაბამისად, სასურველია ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში (C1.1 და C1.2) განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რომანული ფილოლოგიის“ პროგრამის ფარგლებში მოცემული სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შედეგები შესაბამისია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან.

სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 6 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედურ გამოცდასა და დასკვნით გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა) და სხვ.

პროგრამა შემუშავდა 2011 წელს. ხოლო განახლდა 2022 წელს. პროგრამა და მისი თითოეული სასწავლო კურსი/კომპონენტი, მისი შინაარსისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან (მაგისტრატურასთან).

სასწავლო პროგრამის შემადგენელი კურსები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და მოიცავს ბლოკებად დაყოფილ საგნებს: სავალდებულო კურსების ბლოკში გაერთიანებულია რომანული ენათმეცნიერების კურსები, რაც მოიცავს თანამედროვე ლინგვისტურ მიმდინარეობებს. სავალდებულო კურსებში შედის რომანული ენების ლიტერატურის კურსი - სადაც წარმოდგენილია ამ ქვეყნების უმნიშვნელოვანესი ავტორები. პოსტკოლონიური ლიტერატურის კურსი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ ქვეყნების ლიტერატურის განვითარებაზე. სავალდებულო საგანს წარმოადგენს ერთ-ერთი რომანული ენის (ფრანგული, იტალიური, ესპანური) შესწავლა C2 დონეზე. „კვლევის ბლოკის“ ფარგლებში განსაზღვრული სავალდებულო კურსს წარმოადგენს „კვლევის მეთოდოლოგია“, რომელიც სტუდენტებს უვითარებს კვლევით უნარებს, რათა მოამზადონ კვლევითი ნაშრომი. სავალდებულო - არჩევითი კურსები დალაგებულია ასევე თემატურად და მოიცავს შემდეგ ბლოკებში გაერთიანებულ კურსებს: „რომანული ენათმეცნიერება“, „რომანული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში“, „რომანული ენების პრაქტიკული კურსები“. სტუდენტებს ასევე აქვთ არჩევანი გაიარონ არჩევითი ბლოკიდან სხვადასხვა კურსები ლიტერატურის, კულტურის, ენათმეცნიერების მიმართულებით, შეუძლიათ ლათინური ენის შესწავლაც, რომელიც წარმოადგენს რომანული ენების საფუძველს.

პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის, მისი ავტორების, განმახორციელებელი პირების, სასწავლო კურსის მიზნების, კრედიტების რაოდენობისა და საათების განაწილების, დაშვების წინაპირობების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების, ცოდნის შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების, სწავლის შედეგების, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. პროგრამით გათვალისწინებული საგნებიდან ზოგიერთ მათგანში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ე.წ. „რიდერები“. პროგრამის ფარგლებში მოქმედი საგნებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა ასახავს დარგის თანამედროვე მიდრეკილებს და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კატალოგში ბეჭდური და ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის ხელმისაწვდომი ლიტერატურა ნებისმიერი სტუდენტის, პროფესორ მასწავლებლებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა და სტრუქტურა;
- პროგრამების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამების სწავლის შედეგების რუკები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:)

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- განახლდეს ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი ინგლისური ენის კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები.
- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვანი დისკურსის სილაბუსებში სახელმძღვანელოებს მიეთითოს გამოცემის წლები.

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში „შემოქმედებითი წერისა“ და „ლიტერატურული კრიტიკის“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურას დაემატოს მეორადი წყაროებიც - სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა.
- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამაში „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანის“ სილაბუსში დაზუსტდეს და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს მიზნები, შედეგები და შეფასების მექანიზმი.

პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამაში განახლდეს სასწავლო კურსის - „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა“ - მიზნები, შედეგები და შინაარსი, დაემატოს სლავური გრამატიკული სისტემების თავისებურებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიზნების, შედეგების და საგნის შინაარსის შესაბამისობა მის სახელწოდებასთან.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რჩევები:

- ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში C1.1 და C1.2 განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები ორივე საფეხურის ექვსივე პროგრამაში შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს; ითვალისწინებს კლასტერში წარმოდგენილ ენის დაუფლების დეტალური სფეროს თავისებურებებს და მაგისტრატურის საფეხურის სპეციფიკას (დრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა), პროგრამების შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლების ენას (ინგლისური ან ერთ-ერთი რომანული ენა), მისანიჭებელ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ბაკალავრიატის შემთხვევაში პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ხოლო მაგისტრატურის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და კომბინირებული (წერა-ზეპირი) გამოცდა. გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე მიღებაც, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში. ანგლისტიკის და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ფორმატი იმგვარად არის შემოთავაზებული, რომ დგინდება, რამდენად ფლობენ მაგისტრანტობის კანდიდატები იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც აუცილებელია სამაგისტრო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების შესახებ ინფორმაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განთავსებულია უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროგრამების ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ კლასტერში წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და წესის შესაბამისად, რომელიც სრულად შეესაბამება ენის დაუფლების დეტალური სფეროს სპეციფიკას, ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

ანგლისტიკისა და რომანისტიკის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების პროცედურასთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რეკომენდაცია, რომელიც შეეხება წერიტი და ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმების დეტალურად წარმოდგენას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

“ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) სწავლა შეუძლია პირს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში წარმატებით ჩააბარა ნებისმიერი უცხოური ენა, ქართული ენა და ლიტერატურა და ისტორია/ლიტერატურა, ერთიანი მიღებით ჩაირიცხა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე. პირველი სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია აირჩიოს ძირითად სპეციალობად ანგლისტიკა. ანგლისტიკის მიმართულების ძირითადი დარგობრივი კურსების ასარჩევად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის A2 დონე. სტუდენტების დონეებზე გადასაწილება ხდება ტესტირების საშუალებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

“გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. ამავდროულად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ: ენის პრაქტიკული კურსის შეთავაზება იწყება A1 ანუ ნულოვანი დონიდან და, შესაბამისად, დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე გერმანული ენის ჩაბარების აუცილებლობა.

პროგრამაზე სტუდენტთა მიღება რეგულირდება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ამავდროულად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა მექანიზმი მცირერიცხოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც უდავოდ მისასაღმებელია და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ საუკეთესო პრაქტიკად იქნა მიჩნეული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

“საფრანგეთისმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) დოკუმენტაციის ანალიზისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანების შესაბამისად.

პროგრამაზე ჩაირიცხვის წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

რელევანტური ინფორმაცია თავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge. პროგრამაზე მიღების წინაპირობები ქვეყნდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ასევე დეტალურად გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო გეგმას და სხვა რელევანტურ ინფორმაციას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ვებგვერდზე, რაც ხელს შეუწყობს მის უფრო სრულად ინფორმირებულობას.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში შეფასებული და გათვალისწინებულია

შემდეგი ფაქტორები: პროგრამის სპეციფიკა, უნივერსიტეტში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომელიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

“რუსისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტში შემუშავებულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტები ირიცხებიან ფაკულტეტზე და ერთი წლის განმავლობაში ითვისებენ ზოგადი მოდულის საგნებს, ხოლო შემდეგ, მესამე სემესტრიდან ირჩევენ შესაბამის პროგრამას. რუსისტიკის არჩვის შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, დაიწყონ ენის შესწავლა საჭირო დონიდან (A1 – B 2.1 ჩათვლით). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

“ანგლისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში, თუმცა უპირატესობა ენიჭებათ შემდეგი პროგრამების კურსდამთავრებულებს: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია და განათლება.

პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა. კანდიდატმა ზეპირ გამოცდაზე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონე და მის მიერ წინასწარ მომზადებული საკითხის ცოდნა ინგლისური ენის თეორიული გრამატიკიდან, სტილისტიკიდან, ლექსიკოლოგიიდან, ინგლისური ენის ისტორიიდან ან ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიიდან. ეს საკითხები საკვანძოა ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის და ცალსახად ეხმაურება ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და შინაარსს.

კანდიდატი ზეპირ გამოცდაზე ფასდება 100 ქულით. 40 ქულით ფასდება დარგობრივი ცოდნა და 60 ქულით - ინგლისური ენის კომპეტენცია. გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის აპლიკანტმა უნდა მოაგროვოს 50 ქულაზე მეტი. პროგრამაზე მიღების დოკუმენტში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები: საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები) - 40 ქულა; ენობრივი კომპეტენცია B2 დონეზე - ინგლისურ ენაზე საკითხის გადმოცემის უნარი შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით: ინგლისურ ენაზე დარგზე საუბრის უნარი: ლექსიკური გამართულობა - 20 ქულა; ინგლისურ ენაზე დარგზე საუბრის უნარი: გრამატიკული გამართულობა (მორფოლოგია, სინტაქსი)- 20 ქულა; ტექსტის ბმულობა - 20 ქულა. აღსანიშნავია, რომ შეფასების კრიტერიუმებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური ქულები, რაც არ იძლევა სრულ სურათს, თუ რა შემთხვევაში მიიღებს აპლიკანტი მაქსიმალურ ქულაზე ნაკლებს. შესაბამისად, რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

“რომანული ფილოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა)

დოკუმენტაციის ანალიზისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდების და შიდა გამოცდის საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების პირობები და პროცედურები არის გამჭვირვალე, საჯარო და სრულად შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს, პროგრამების სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების მიღებას, რომლებიც აღჭურვილი არიან პროგრამის მოთხოვნების დასაძლევად საჭირო ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით.

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა, არის შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და წერიტი გამოცდა. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ მიმართულებებში: ჰუმანიტარული მეცნიერებები (02 - ნებისმიერი მიმართულება), სოციალური მეცნიერებები (032), სოციოლოგია და კულტურის კვლევები (0314), ინტერდისციპლინური (038), განათლება (011). მაგისტრანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ რომანულ ენას (ფრანგული, იტალიური, ესპანური) B2 დონეზე და უნდა ჩააბაროს კომბინირებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: სამოტივაციო ესსე დაწერა ერთ-ერთ რომანულ ენაზე (ესსე იწერება ადგილზე), ზეპირი გამოცდა/გასაუბრება (ერთ-ერთ რომანულ ენაზე).

კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. წერილობითი და ზეპირი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება შემდეგნაირად: ესსე - 50 ქულა, ზეპირი გამოცდა - 50 ქულა. ზეპირი გამოცდა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. დარგობრივი ცოდნა არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია (10 ქულა);
2. მოტივაცია და სამომავლო ხედვა (20 ქულა);
3. მიღწევები და გამოცდილება (პროფესიული, აკადემიური და სხვა) (10 ქულა);
4. კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი (10 ქულა).

აღსანიშნავია, რომ ზეპირი და წერიტი შეფასების კრიტერიუმებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური ქულები, რაც არ იძლევა სრულ სურათს, თუ რა შემთხვევაში მიიღებს აპლიკანტი მაქსიმალურ ქულაზე ნაკლებს. შესაბამისად, რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს წერიტი და ზეპირი მისაღები გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. კონკურსის გამოცხადებისთანავე ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge. მიღების პროცედურები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში შეფასებული და გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომლებიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა და სტრუქტურა;

- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- დეტალურად გაიწეროს ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 5 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- დეტალურად გაიწეროს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები წერითი და ზეპირი მისაღები გამოცდის შეფასების რუბრიკა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილ კლასტერში მოცემულია ენის დაუფლების დეტალური სფეროს ექვსი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა გამაერთიანებელი, ზოგადი მიზანი ინგლისური, გერმანული, რომანული - ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული ენების, შესაბამისი ლიტერატურის სწავლებაა ზოგადკულტუროლოგიურ კონტექსტში. ენების სწავლების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც შესანიშნავად მიიღწევა კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში სამიზნე ენების შემსწავლელი საგნების ფარგლებში.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ ენის ფლობის საგანმანათლებლო პროგრამები, ჩვეულებრივ, არ ითვალისწინებს ე.წ. სტრუქტურირებულ პრაქტიკას, როგორც სწავლების დამოუკიდებელ, კრედიტების მქონე კომპონენტს და ამ ფორმით პრაქტიკა არც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის პროგრამებშია წარმოდგენილი.

საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების გარკვეული ნაწილი საქმდება უცხო ენის პედაგოგებად სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მთარგმნელებად, გალერეებში, მასმედიაში, საკონსულოებში თარჯიმან რეფერენტებად, ტურისტულ სააგენტოებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. საფრანგეთისმცოდნეობის და რომანული ფილოლოგიის პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევამ და დამსაქმებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ადგილობრივ ბაზარზე პოტენციურ დამსაქმებლებს აქვთ სურვილი, გააძლიერონ თანამშრომლობა უნივერსიტეტთან სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების კუთხით.

სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, რომ პროგრამაში მეტად გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი დასაქმების ბაზართან ურთიერთთანამშრომლობით, რათა სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა მოკლევადიანი, კურიკულუმსგარე პრაქტიკა/სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული და აგრეთვე ტრანსფერული უნარების მეტად განვითარებას. შესაძლებელია გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯაროს სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, შედარებით ნაკლებად ბაკალავრიატის, ხოლო არსებითად - მაგისტრატურის საფეხურზე. ანგლისტიკისა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი უნარების გამომუშავება ხდება არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ სტუდენტების მონაწილეობით სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში და აგრეთვე შემდეგი სასწავლო კურსების ფარგლებში:

სამეცნიერო ტექსტის აგების ტექნიკა, ლინგვისტური კვლევის მეთოდები, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები, სემინარი კორპუსულ ენათმეცნიერებაში, კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი, ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება: სახელობითი ერთეულების ამოცნობა და სხვ. (ანგლისტიკა), კვლევის მეთოდოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, აკადემიური წერა, ლინგვისტური კვლევის მეთოდები, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები, ენა და ტექნოლოგიები და სხვ. (რომანული ფილოლოგია).

რაც შეეხება ბაკალავრიატს, ანგლისტიკის, გამოყენებითი გერმანისტიკის, საფრანგეთისმცოდნეობის და რუსისტიკის პროგრამების სტუდენტების საფეხურის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარება ხდება უპირველეს ყოვლისა საბაკალავრო ნაშრომით, რომლის არჩევითი სტატუსი სავსებით შეესაბამება როგორც საქართველოში დამკვიდრებულ პრაქტიკას, ისე საერთაშორისო გამოცდილებას. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება აგრეთვე სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში და ცალკეული სავალდებულო და არჩევითი კურსი. მაგალითად, აკადემიური მუშაობის ტექნიკები, სტატისტიკა, სავსე ენათმეცნიერება და ენის კომპიუტერული დამუშავება და სხვ. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ გამოყენებითი გერმანისტიკის და რუსისტიკის მიმართულების სტუდენტები შედარებით ნაკლებად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, რის გამოც მოხდა შესაბამისი რჩევის ჩამოყალიბება (დეტალურად იხ. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 3.1).

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებისა და მაჩვენებლების ანალიზმა, აგრეთვე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულები საქმდებიან არა მხოლოდ პროფილურად, არამედ მომიჯნავე და სხვა სფეროებში, კარგად ადაპტირდებიან საკმაოდ შეზღუდულ და ცვალებად შრომის ბაზართან, რაც ადასტურებს, რომ რეალურად მიიღწევა პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგები და განსაკუთრებით ტრანსფერული უნარები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებასთან დაკავშირებული განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიშები;
- პროგრამების აღწერილობა და სტრუქტურები;
- სილაბუსები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტანდარტი;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ინტერვიუები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი), პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი დასაქმების ბაზართან ურთიერთთანამშრომლობით, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მოკლევადიანი, კურიკულუმსგარე პრაქტიკა/სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პროფილის დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული და აგრეთვე ტრანსფერული უნარების მეტად განვითარებას.
- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში გაფორმდეს მემორანდუმები სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლა-სწავლების მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, სრულ შესაბამისობაშია სწავლების შესაბამის საფეხურთან, სასწავლო კურსების შინაარსთან და სტრუქტურასთან, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება მიმდინარეობს ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მუშაობის ფორმატში. სასწავლო კურსებში გამოყენებული მეთოდები მორგებულია სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს და უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი, ისე ტრანსფერული უნარების განვითარებას (მაგალითად, ანალიტიკური, კრიტიკული, პრობლემის გადაჭრის, საკომუნიკაციო, ტექნოლოგიური, პრეზენტაციის და სხვ.), აგრეთვე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- ანალიზი და სინთეზი;
- დისკუსია-დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი (Case Study);
- გონებრივი იერიში;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- ელექტრონული და შერეული სწავლება და სხვა.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია გამოყენებითი გერმანისტიკის პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალი და დამატებით გამოიყენება: შეტრიალებული გაკვეთილი (Flipped Classroom), აქტიური სწავლა (Active Learning), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (Problem Based Learning) და პროექტზე დაფუძნებული სწავლა (Project Based Learning) და სხვ.

მისასალმებელია, რომ ანგლისტიკისა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში ზემოთ აღნიშნული მიდგომების გარდა, გამოიყენება სწავლა-სწავლების განსხვავებული მეთოდებიც, კერძოდ:

- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- კვლევითი პროექტები;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია და სხვ.

კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში ენების სწავლება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ხდება მცირერიცხოვან ჯგუფებში. გამონაკლისია მხოლოდ ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ენების სწავლებისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა, პრაქტიკული ინგლისური ენის კურსის განმეხორციელებლებისთვის მაინც სირთულედ რჩება მრავალრიცხოვანი ჯგუფები. შესაბამისად, რეკომენდებულია პრაქტიკული

ინგლისური ენის კურსებში დარეგულირდეს სტუდენტების რაოდენობა, რათა მოხდეს სამიზნე ენის შესწავლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაც. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის რეჟიმში მიიღონ საჭირო რჩევა და უკუკავშირი წერილობითი ნაშრომის შესახებ.

ინდივიდუალური გეგმა სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული - „ბავშვის განვითარების ინსტიტუტი“.

უნივერსიტეტში დანერგილი სწავლა/სწავლების მეთოდების მოქნილობა და ეფექტიანობა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა პანდემიის პერიოდში საწყისი ეტაპის სირთულეების დაძლევისას. როგორც კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, საყოველთაო კრიზისის დროს უნივერსიტეტმა მოახერხა სწრაფი რეაგირება, საწყისი ხარვეზების დაძლევა და ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროგრამის განხორციელება სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით ისე, რომ ამას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება არ გამოუწვევია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს სწავლა-სწავლების მეთოდების არსებითად განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული ინგლისური ენის კურსებში დარეგულირდეს სტუდენტების რაოდენობა, რათა მოხდეს სამიზნე ენის შესწავლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას -

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება მოიცავს მინიმუმ სამ კომპონენტს - შუალედურ შეფასებებსა და დასკვნით შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. ხოლო დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.

შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტებისათვის სასწავლო კურსების სილაბუსები და, ამდენად, შეფასების მოქმედი მეთოდები და კრიტერიუმები, ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა “არგუსში“. ამასთან, სტუდენტებს შეფასების სისტემას სასწავლო კურსის ხელმძღვანელი აცნობს პირველი ლექციის ფარგლებში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დარგის სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული დაცვის შეფასებისთვის შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში არ არის გათვალისწინებული სავალდებულო წესით გარე შემფასებლის ჩართულობა, თუმცა პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე პერიოდულად ხდება გარე შემფასებლების ჩართვა შეფასების პროცესში.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, წინამდებარე სქემის შესაბამისად:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იმავ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენის უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის და გათვალისწინებულია ნაშრომის შეფასებისას. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და პლაგიატის პრევენციის მიზნით სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე სისტემა Turnitin-ის მეშვეობით.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგების მიღწევისა და მათი ძლიერი / გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ, რაც კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გამოიხატებოდეს ნაშრომზე დართული კომენტარების, ზოგადი ზეპირი განხილვის ან ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდების სახით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც დეტალურად აღწერილია „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესში“. მოქმედი პროცედურის თანახმად, სტუდენტს მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს მისი გაცნობიდან 2 დღის ვადაში. საპრეტენზიო განაცხადს დეკანის ბრძანების საფუძველზე განიხილავს დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან. ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების გასაჩივრების მოქმედი პროცედურის შესახებ.

უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად - უნივერსიტეტი ახორციელებს შეფასების შედეგების სტატისტიკურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც დგინდება პროგრამის / სასწავლო კურსის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი), **პროგრამა 5** (ანგლისტიკა, მაგისტრატურა), **პროგრამა 6** (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ცალკელ შემთხვევაში დეტალურად არ არის გაწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ,

საბაკალავრო პროგრამა - ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) - ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შეფასების კრიტერიუმები იყოს გაზომვადი. ინგლისურენოვანი დისკურსის სილაბუსებში წერითი და ზეპირი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები არ არის დეტალურად ჩაშლილი. FCE Preparation 1 და 2 სილაბუსიდან ჩანს, რომ შეფასებისას გამოიყენება კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდისთვის არსებული შეფასების კრიტერიუმები. მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში და სტუდენტს თვითონ შეუძლია მისი მოპოვება.

სამაგისტრო პროგრამა - ანგლისტიკა - C1 Advanced სილაბუსებში წერითი და ზეპირი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები არ არის დეტალურად ჩაშლილი. სილაბუსიდან ჩანს, რომ შეფასებისას გამოიყენება კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდისთვის არსებული შეფასების კრიტერიუმები. მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში და სტუდენტს თვითონ შეუძლია მისი მოპოვება.

ანგლისტიკისა და რომანული ფილოლოგიის პროგრამებში სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ასახულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული კრიტერიუმები არ არის გაწერილი დამაკმაყოფილებლად და საჭიროებს დაკონკრეტებას. კერძოდ, შეფასების სქემაში არ არის გათვალისწინებული მაქსიმალური და მინიმალური ქულებისა და შეფასების სხვადასხვა დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები. შესაბამისად, რეკომენდებულია დეტალურად იქნას გაწერილი ინგლისურენოვანი დისკურსის, ინგლისური ენა - C1 Advanced სასწავლო კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- სილაბუსები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორთა სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- ელექტრონული სისტემა “არგუსი” <https://argus.ge/ge/>;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად იქნას გაწერილი ინგლისურენოვანი დისკურსის, ინგლისური ენა - C1 Advanced შეფასების კრიტერიუმები.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ანგლისტიკის პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რომანული ფილოლოგიის პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, განისაზღვროს შეფასების განსხვავებული დონეების შესაბამისი კონკრეტული მახასიათებლები.

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის აუცილებელი მექანიზმები.

აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის გამოცდილებით, წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო გრაფიკი ნაკლებად ეფექტურია, შესაბამისად, საკონსულტაციო შეხვედრის დროზე სტუდენტები ლექტორებს ინდივიდუალურად უთანხმდებიან. პერსონალთან კომუნიკაციისთვის სტუდენტები ასევე აქტიურად იყენებენ საუნივერსიტეტო ელფოსტასა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსს“.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ხელმისაწვდომ სერვისებზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ შესაძლებლობებზე. კერძოდ, ზემოხსენებულ ფუნქციას ასრულებს სპეციალური სტრუქტურული ერთეული - უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი. დეპარტამენტი სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ახორციელებს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: დასაქმების ხელშეწყობა, სტუდენტური კლუბები, სეზონური სკოლები, სტუდენტური პროექტების დაფინანსება და ა.შ. თავის მხრივ, პროგრამების კოორდინატორები სტუდენტებს კონსულტაციას უწევენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობის შესახებ.

ამდენად, უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტებს სწავლების პროცესთან, კარიერულ განვითარებასა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებთან დაკავშირებით უწევს სათანადო, დროულ და ეფექტურ კონსულტაციას.

შიდასაუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს. მათ გადაეცემათ საუნივერსიტეტო ელფოსტის მისამართი და ისინი რეგისტრირდებიან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. „არგუსის“ დახმარებით სტუდენტებს წვდომა აქვთ ელექტრონულ მასალებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებზე. ამავე სისტემის საშუალებით ირჩევენ სასწავლო კურსებს, ამოწმებენ მიღებულ შეფასებებს და ახორციელებენ კომუნიკაციას პერსონალთან.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა პროექტებში. ამგვარი შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ ელფოსტის, „არგუსისა“ და დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები 2019 წლიდან ჩართულნი არიან გონკურის პრემიაში, რომლის ფარგლებშიც კითხულობენ ფრანგულენოვან რომანებს. საფრანგეთის მცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები მონაწილეობენ ფრანკოფონიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სერიაში. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე უზრუნველყოფს კონფერენციების ორგანიზებაში სტუდენტთა ჩართვას.

უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ გამოყენებითი გერმანისტიკისა და რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები ნაკლებად არიან კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართულნი, რაც, გარკვეულწილად, ჩარიცხულ სტუდენტთა მცირე რაოდენობითაც არის განპირობებული. მიუხედავად აღნიშნულისა, გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სხვა სახის აქტივობებში, რომელთა შორისაც აღსანიშნავია „წიგნის კითხვის კლუბი“. შედარებით აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. ამასთან, ხსენებული მიმართულების ფარგლებში იმართება სხვადასხვა საინტერესო აქტივობა, გამორჩეულად უნდა აღინიშნოს წიგნების იუბილეები. ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან ასევე მთარგმნელობით საქმიანობაში.

შეფასების პროცესში დადგინდა, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები (განსაკუთრებით, რუსისტიკისა და გამოყენებითი გერმანისტიკის მიმართულებით) ნაკლებად არიან ჩართულნი კონფერენციებსა და საფეხურის შესაბამის კვლევით აქტივობებში.

შესაბამისად, სასურველია, გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები გამოყენებითი გერმანისტიკისა და რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

წარმოდგენილი პროგრამების სტუდენტებს უნივერსიტეტი უქმნის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, მათ შორის, Erasmus+-ის პროგრამებს. ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან გაცვლით პროგრამებისა და მობილობაში მონაწილეობისთვის განსახორციელებელი პროცედურების შესახებ. სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ საუნივერსიტეტო ელფოსტის, „არგუსის“, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. მაგალითად, ეწყობა შეხვედრები დამსაქმებლებთან, სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს ელფოსტაზე ეგზავნებათ მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს შიდა სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში გაიარონ სტაჟირება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები ამ სფეროში მეტ მხარდაჭერას ისურვებდნენ (მაგ., დამსაქმებლებთან კავშირის გაუმჯობესება, მეტი შეხვედრის ორგანიზება). შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, მეტად გაააქტიუროს საქმიანობა მაგისტრატურის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს სტუდენტების საკონსულტაციო და მხარდაჭერ სერვისებთან დაკავშირებული განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიშები;
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ სტუდენტებისათვის მისაწოდებელი სერვისები და მათი აღწერილობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი;
- სტუდენტური სერვისების კვლევა;
- დასაქმების კვლევის ანგარიში;
- ელექტრონული სისტემა „არგუსი“ <https://argus.ge/ge/>;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - <https://iliauni.edu.ge/>

- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რჩევ(ებ)ი:

- გააქტიურდეს საქმიანობა და გამოყენებულ იქნას დამატებითი ინსტრუმენტები რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების კონფერენციებსა და სწავლების საფეხურის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- გააქტიურდეს საქმიანობა ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამა (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- გააქტიურდეს საქმიანობა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

შეფასება

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მაგისტრანტთა ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. კერძოდ, აღნიშნული საკითხები რეგულირდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომების კონცეფციებით.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია ასევე ითვალისწინებს სტუდენტისათვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ კონსულტაციის გაწევის საკითხს. დადგენილია საკონსულტაციო საათების მინიმალური რაოდენობა - კვირაში 2 საათი, ხოლო საათების განაწილება განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად. ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია იძლევა შესაძლებლობას, კონსულტაციები დაიგეგმოს პროგრამისა და საკვლევო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ უნივერსიტეტში მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციისა და სხვა შიდა დოკუმენტების შესაბამისად. კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ისინი იღებდნენ დროულ და ეფექტურ მხარდაჭერას როგორც უშუალოდ ხელმძღვანელისაგან, ასევე ზოგადად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან. ამდენად, მაგისტრანტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას თემის შერჩევაზე, ნაშრომის წერის პროცესზე, კვლევის მეთოდოლოგიასა და დიზაინზე და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ საკითხებზე.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული არ აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. როგორც ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, კონკრეტული პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება არ გამხდარა აუცილებელი მაგისტრანტთა მცირე-რიცხოვნობის გამო. ინტერვიუების დროს ითქვა ასევე, რომ უნივერსიტეტი თანაფარდობის განსაზღვრისათვის იყენებს სხვა მოქმედ მეთოდოლოგიებს (მაგალითად - ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია“), თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა და სტუდენტების თანაფარდობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტთა არსებული თანაფარდობა სავსებით დამაკმაყოფილებელია და იძლევა ეფექტური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საშუალებას, აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა/თანახელმძღვანელთა საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები. კერძოდ, ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები/კურსდამთავრებულები კითხვარების საშუალებით აფასებენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის სხვადასხვა ასპექტს. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს ძლიერი/გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, სამაგისტრო)⁸	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	18
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	44
//დოქტორანტების რაოდენობა	---
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0.41
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	---

პროგრამა 2 (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო)⁹	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	21
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	---
მაგისტრანტების რაოდენობა	4
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	5.25
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	---

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიშები;

⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების დატვირთვა;
- პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- სტუდენტური სერვისების კვლევა;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- შემუშავებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

შეფასება

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამების განხორციელებაში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობის და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური

და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მათ აქვთ განხორციელებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პროფესიული გამოცდილება. გარდა ამისა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ შესაბამისი პროფილის ნაშრომები: მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში და სხვ. მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებად განსაზღვრულ პირებს ასევე აქვთ შესაბამისი მიმართულებით მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკის ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის განახლება ხდება სემესტრულად, მასში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის აქტივობები. დატვირთვების ანალიზი ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება და პერსონალის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადო შესრულება.

ექვსივე პროგრამის ფარგლებში, ძირითადი და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა, პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებლები და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა შეიძლება მივიჩნიოთ კარგ წინაპირობად ხარისხიანი განათლებისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

არა მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზმა, არამედ ინტერვიუებმა კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან წარმოაჩინა, რომ ორივე საფეხურის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა ტიპის ეფექტიანი კონსულტაციით.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში და დანართად მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები, ისევე როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სხვადასხვა ასპექტით ჩატარებული კვლევები და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანგებო ყურადღებას უთმობს სტატისტიკური მაჩვენებლების მოძიებას, მათ სათანადო დამუშავებას, ხოლო ანალიზის შედეგებს იყენებს პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად და მათ განსავითარებლად.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარგობრივი, პროფესიული ცოდნა, ისე მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და აქტიური საერთაშორისო კონტაქტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას როგორც აკადემიური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელს აქვს გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტად მონაწილეობის გამოცდილება, რაც ასევე ხელს უწყობს შესაბამისი პროგრამის განვითარებას.

ინტერვიუებმა პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ცხადყო, რომ პროგრამების ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამების ორგანიზაციულ საკითხებში, ხოლო აკრედიტაციისთვის მზადების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით მონაწილეობა მიიღეს პროგრამების განხორციელების შეფასებაში და ეფექტიანი კოორდინირება გაუწიეს პროგრამების განახლების პროცესს.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია. კერძოდ, დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური

სამსახურები და სხვ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით.

ორივე საფეხურის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტერვიუებიდან დადგინდა, სასწავლო პროცესი ეფექტურად იმართება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, რომლის გამართულ მუშაობაზეც პასუხისმგებელია ტექნოლოგიების დეპარტამენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს უწევს დროულ, კვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა “ანგლისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ, დარგისთვის შესაფერის სამეცნიერო მუშაობას. მაღალია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელი - 218, აქედან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 87, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 32, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 25, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 40, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი მონაცემები შეადგენს 34-ს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი Erasmus + გაცვლით პროგრამებში ჩართვის საშუალებას აძლევს არა მარტო აკადემიურ, არამედ მოწვეულ პერსონალსაც, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური და 15 მოწვეული პერსონალი (მათი ბალანსია 14/15), მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (29/731). პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელია 10 (აკადემიური პერსონალი - 7, მოწვეული პერსონალი - 3). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და პროგრამაზე დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით და იგი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე. ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებისა და განხორციელების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს უწევს კონსულტირებას ელექტრონული მართვის სისტემა “არგუსში” განთავსებულ სასწავლო კურსების რეგისტრაციის პროცესში და შემდგომაც. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის მზაობა დაეხმაროს სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამას ადმინისტრირებას უწევს დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, სტუდენტთა

კოორდინაციის, საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები, სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების ჯგუფი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებელ ფუნქციებთან შესაბამისობა. ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამას ემსახურება 10 ადმინისტრაციული პერსონალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

“გამოყენებითი გერმანისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელებაში აკადემიური პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 სექტემბრის N83 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 25 სექტემბრის N13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ შესაბამისად. თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, დიპლომები) დასტურდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე მოწვეული ლექტორების ცოდნა და გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა რეგულირდება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის“ შესაბამისად და როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (25/37). პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია (15/10), ხოლო დენადობის მაჩვენებელი - 7 (აკადემიური პერსონალი - 5, მოწვეული პერსონალი - 2), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი - 228. მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 56, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 43, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 16, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 54, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 59.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელის პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია სრულად შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ის აქტიურად იღებს მონაწილეობას არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ ახორციელებს კურიკულუმს მიღმა პროექტებს, როგორცაა მაგალითად „წიგნის კლუბი“ და სხვ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიკაცია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

პროგრამის განმახორციელებელი პირები, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი პროგრამაში ჩართული არიან მოქმედი კანონმდებლობისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

მოქმედი სამსახურში მიღების წესის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და მათი სხვადასხვა აქტივობით.

პროგრამის ხელმძღვანელი დარგის წამყვან სპეციალისტს წარმოადგენს და მას გააჩნია სათანადო ცოდნა და კომპეტენციები. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას.

პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემა შედგენილია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ, რომელიც ახორციელებს მონიტორინგსაც. დატვირთვებში სემესტრებს შორის დაცულია ბალანსი.

უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და სტუდენტთა რაოდენობისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის მარეგულირებელი წესი. ჰუმანიტარული მიმართულების მიმართულებისთვის 1 პროფესორი 70 სტუდენტზე. კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას სამუშაო ჯგუფმა ეს გაითვალისწინა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (21/10). პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია (11/10), ხოლო დენადობის მაჩვენებელი - 6 (აკადემიური პერსონალი - 4, მოწვეული პერსონალი - 2), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის რელევანტური უნარების გამომუშავებას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელია 198, მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 50, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 46, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 17, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 52, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 33.

საფრანგეთის მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

“რუსისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნიათ დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომელიც გათვალისწინებულ იქნა რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაშიც.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (16/11). პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია (11/5), ხოლო დენადობის მაჩვენებელი - 4 (აკადემიური პერსონალი - 3, მოწვეული პერსონალი - 1), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლებია 252. მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 49, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 55, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 35, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 52, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 61.

პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული გამოცდილება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინტერვიუმ პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებასა და სხვა სახის აქტივობებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა “ანგლისტიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ, დარგისთვის შესაფერის, სამეცნიერო მუშაობას. მაღალია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელი - 256, აქედან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 51, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 52, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 21, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 54, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი მონაცემები შეადგენს 78-ს.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი Erasmus+ გაცვლით პროგრამებში ჩართვის საშუალებას აძლევს არა მარტო აკადემიურ, არამედ მოწვეულ პერსონალსაც, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი (მათი ბალანსია 14/4), მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (18/44). პროგრამაზე ყოველწიურად ირიცხება 20-25 სტუდენტი. პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელი დაბალია - 4 (აკადემიური პერსონალი - 3, მოწვეული პერსონალი - 1). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და პროგრამაზე დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მაგისტრანტებისა და მათი ხელმძღვანელების თანაფარდობა არის 18/44, რაც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიას და შესაბამისობაშია ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვისა და ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელისადმი არსებულ მოთხოვნებს.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. მათგან ერთ-ერთი ხელმძღვანელობს ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამასაც. პროგრამის ორივე ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის პროფესორი. მათი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებისა და განხორციელების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიების დაგეგმვა-

განხორციელების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებს უწევენ კონსულტირებას ელექტრონული მართვის სისტემა “არგუსში” განთავსებულ სასწავლო კურსების რეგისტრაციის პროცესში, აქტიურია მათი ჩართულობა სტუდენტების კვლევით კომპონენტზე გადასვლის დროს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელების მზაობა დაეხმარონ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამას ადმინისტრირებას უწევს დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები, სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების ჯგუფი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებელ ფუნქციებთან შესაბამისობა. ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 11 ადმინისტრაციული პერსონალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ “რომანული ფილოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) ჩართული აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.

პროგრამის განმახორციელებელი პირები - როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი - პროგრამაში ჩართული არიან მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამსახურში მიღების წესის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და სხვადასხვა აქტივობით.

პროგრამის ხელმძღვანელი დარგის წამყვანი სპეციალისტია, აქვს სათანადო ცოდნა და კომპეტენციები და იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის მართვასა და განხორციელებაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობასთან (21/4). აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (14/7) და დენადობის მაჩვენებელი (12) (აკადემიური პერსონალი - (8), მოწვეული პერსონალი - (4)) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობაც (14/4) შესაბამისობაშია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან და ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვისასთან სწავლებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობის პროცესში.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლებია 294, მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 59, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 55, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 27, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 64, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 89.

პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემა შედგენილია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ, რომელიც ახორციელებს მონიტორინგსაც. სემესტრებს შორის დატვირთვებში დაცულია ბალანსი.

უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რაც ხელს უწყობს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)¹⁰

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹¹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹²	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	29	24	23	14
- პროფესორი	7	5	7	7
- ასოცირებული პროფესორი	5	3	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	15	14	9	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15	8	8	15
- პროფესორი	8	5	5	8
- ასოცირებული პროფესორი	5	2	2	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	10	3	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	--	--	---

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹¹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	11	10	9	11
- პროფესორი	7	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	2	1	1	2
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	10	8	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	16	10	10	16
- პროფესორი	5	5	5	
- ასოცირებული პროფესორი	5	4	4	
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	3	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 2 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	18	17	15	14
- პროფესორი	8	7	7	8
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	15	15	-

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი				
- ასოცირებული პროფესორი				
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				
სამეცნიერო პერსონალი				

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	14	12	12	14
- პროფესორი	8	7	7	8
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	7	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა და სტრუქტურა;
- პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამების ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის სქემები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: რეკომენდაციები და რჩევები არ გაცემულა.

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (საფრანგეთის მცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი, რომლის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომისთვის/პროექტისთვის მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ: პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები; მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი; შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია; შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია.

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტით განსაზღვრული, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შეესაბამება როგორც სწავლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს, ისე ენის დაუფლების დარგობრივ სფეროში გაერთიანებული სპეციალობების სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

კლასტერში წარმოდგენილი ანგლისტიკისა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელები/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება (ნაშრომები, პუბლიკაციები, პროექტები და სხვ.), რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა 4.1 სტანდარტისთვის). სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა მაგისტრანტისა და მისი ხელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე ხდება. თემის არჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტის შემოქმედებითი ინტერესები და ინდივიდუალური მონაცემები.

პროგრამა 1 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)¹³

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	18	15	14
- პროფესორი	8	7	8
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)¹⁵

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	21	12	21
- პროფესორი	8	7	8
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	2
მოწვეული პერსონალი	2	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების მარეგულირებელ დოკუმენტში მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიმართ არსებული გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ანგლისტიკის მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია დარგისთვის შესაბამისი უახლესი ცოდნა, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი ან/და ჩატარებული აქვს სამეცნიერო კვლევები, რომელიც დაკავშირებულია სამაგისტრო თემის შინაარსთან და სპეციფიკასთან. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი და რომელსაც საერთაშორისო ბაზებში (SCOPUS,

¹³ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

¹⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

EBSCOHost და სხვ.) შემავალ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თანახემდღვანელი ასევე შესაძლებელია იყოს შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი, რომელსაც დაცული აქვს პროსპექტუსი ან/და გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია.

პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობა კვლევის დიზაინის, კვლევის განხორციელებისა და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტის მიერ რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურებიან მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმართვასა და მათთვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას, მხარდაჭერას არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის წერის, არამედ კვლევითი გრანტების მოპოვებასა თუ საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადების პროცესშიც. მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების და სპეციფიკის გათვალისწინებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაზღვრულია სამეცნიერო ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამასთანავე, სამეცნიერო ხელმძღვანელების პირადი საქმეების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევებში, მოპოვებული აქვთ სამეცნიერო გრანტები, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა თუ კონგრესებში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები.

როგორც სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ისეთ საკითხებზე, როგორცაა კვლევის დიზაინი, კვლევის განხორციელება, თემატიკის შერჩევა თუ ბიბლიოგრაფია. ისინი ასევე აფასებენ სტუდენტებს ნაშრომზე მუშაობის პროცესში და წერენ სათანადო დასკვნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: რეკომენდაციები და რჩევები არ გაცემულა.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას და მისი შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება როგორც სტუდენტების გამოკითხვით, ისე თავად პერსონალის თვითშეფასების კითხვარით, რომელიც გულისხმობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტების ქულობრივ შეფასებას, რაც მათ ეხმარება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ასპექტების უკეთ გააზრებასა და შემდგომ წინსვლაში. შეფასების შედეგების პრეზენტაცია და განხილვა ხდება სხვადასხვა სახის ღია თუ დახურულ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე. სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და განვითარებას ემსახურება პასკალისა და სულხან-საბას პრემიებიც, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევასაც და მაქსიმალურად ცდილობს კვლევის შედეგების გათვალისწინებას უნივერსიტეტის მართვის პროცესში. უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა სწავლებაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS+ პროექტ PRINTeL-ის მხარდაჭერით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს საგანგებოდ აღინიშნა უნივერსიტეტის მიერ პანდემიის დროს შეთავაზებული ონლაინ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვადასხვა სახის (მატერიალური, ფინანსური და სხვ.) მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუციური განვითარების გრანტები, განვითარების სამსახური დაფინანსების წყაროების საიდენტიფიკაციოდ და მოსაზიდად, აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები და სხვ.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არის მაღალი და პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონტაქტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან. როგორც უკვე აღინიშნა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ პერსონალსაც, რომ მონაწილეობა მიიღოს ერაზმუს პლუსის გაცვლით პროგრამაში, რაც

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილ რომელიმე პროგრამას არ აქვს პერსონალის პროფესიულ განვითარების განსხვავებული სისტემა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საგანგებოდ შეფასება საჭირო არ გამხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები;
- განვითარების სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში;

- მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევის ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: რეკომენდაციები და რჩევები არ გაცემულა.

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფილია მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი, შშმ პირებისთვის ადაპტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც მოიცავს სააუდიტორიო ფონდს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საინფორმაციო კომპიუტერულ ცენტრს, სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელ „არგუსს“, პლაგიატის დეტექტივის პლატფორმა Turnitin-ს, ელექტრონული სწავლების პორტალს/E-learning, სასადილოს და სხვ. სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს აგრეთვე უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ინსტიტუტი (მაგალითად, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი, ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი, ავსტრიული ბიბლიოთეკა და სხვ.).

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც სილაბუსების სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული უახლესი და თანამედროვე სავალდებულო ლიტერატურა, ისე ბაკალავრებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო-კვლევითი პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რიდერები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებზე: Clarivate Analytics, ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Cambridge Journals, Taylor and Francis, Sage Publishing და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ტექნიკური მხარდაჭერა, რასაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უწევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს რიდერების მომზადების პროცესში, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალეობამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე, როგორც საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე, ისე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვაზე.

პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ზემოთ აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე პროფესორებისა და მოწვეული ლექტორებისთვის და ყველა მხარე არა მხოლოდ იცნობს მათი გამოყენების შესაძლებლობებსა და მოხმარების წესებს, არამედ აქტიურად იყენებს კიდევ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, პროგრამა 5 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა)

ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თუმცა ზოგიერთი სახელმძღვანელო ძველი რედაქციითაა წარმოდგენილი (იხილეთ რჩევა ქვესტანდარტი 1.5), თუმცა ეს ხელს არ უშლის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო აკადემიური ბაზები. ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით. მათთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ამ სივრცეებს იყენებენ სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ლექსიკოგრაფიისა და თარგმანმცოდნეობის მიმართულებების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსიტეტში არსებული 'ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი', რომელიც მუშაობს სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე, იკვლევს თეორიული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებს, მუშაობს სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროექტებზე, მათ შორის ინგლისურ ქართული/ქართულ-ინგლისური მანქანური თარგმნის პროგრამაზე. ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა პანდემიის დროს ელექტრონული სწავლების ფორმატშიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისთვის აუცილებელი ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, მუდმივად

განახლებადი საბიბლიოთეკო ფონდითა და ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე წვდომით. „არგუსის“ საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ მართონ საკუთარი სასწავლო პროცესი, ამავდროულად აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, სტუდენტურ სერვისებსა და საერთაშორისო პროექტებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი), **პროგრამა 6** (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და რომანული ფილოლოგიის პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - საინფორმაციო კომპიუტერული რესურს-ცენტრები, სრულად აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი და მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდით და მდიდარი ელექტრონული რესურსებით, მათ შორის საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“ და ელექტრონული სწავლების პლატფორმა E-learning.iliauni.edu.ge და პლაგიატის პრევენციისა და დადგენის ონლაინ პლატფორმა Turnitin) უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას როგორც ელექტრონულად (Zoom – პლატფორმით), ასევე აუდიტორიაში სწავლის პროცესში.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით).

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - www.elsevier.com;
- sciencedirect- www.sciencedirect.com;
- Scopus - www.scopus.com;
- EBSCO Discovery Service
- SAGE
- ProQuest
- ProQuest Disertations
- Taylor and Francis
- Funding Institution
- Humanities Source და სხვა (<https://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniro-bazebi/>)
- და სხვ.

ელექტრონული რესურსების მარტივად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებს და ლექტორებს ერთიანი საძიებო სისტემით, რომელშიც „ერთი ფანჯრის პრინციპი“ მოქმედებს და შესაძლებელია ყველა რესურსის ერთდროულად ძიება.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი ინფრასტრუქტურა - სამკითხველო დარბაზები, ჯგუფური მუშაობის სივრცე, მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე, კომპიუტერული რესურს-ცენტრები, ტრენინგების ოთახი, რაც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

„არგუსი“- ს მეშვეობით სტუდენტებს მუდმივი კავშირი აქვთ პროფესორ მასწავლებლებთან მათგან სათანადო ინფორმაციის მიღების მიზნით.

გარდა ამისა, პროგრამა „საფრანგეთისმცოდნეობა“ და პროგრამა “რომანული ფილოლოგია” უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მომსახურებით, როგორცაა:

- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი;
- ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი;

- ავსტრიული ბიბლიოთეკა
- და სხვ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს საფრანგეთის მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის და “რომანული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს: შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კეთილმოწყობილი ეზო, სასადილო, სტადიონი, კარგად მოწყობილი სტუდენტური სივრცეები, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი და სამკითხველო დარბაზების მოხერხებული განლაგება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში, საინფორმაციო ელექტრონული ბაზა „არგუსი“, რომლის მეშვეობით სტუდენტი მარტივად ამყარებს კომუნიკაციას ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური და საინფორმაციო რესურსი თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ <http://argus.iliauni.edu.ge/>;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <http://library.iliauni.edu.ge/>;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: <http://moodle.iliauni.edu.ge/>;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.
კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: რეკომენდაციები და რჩევები არ გაცემულა.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამებს შორის არსებითი განსხვავებაა შემოსავლების თვალსაზრისით. ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემოსავლები არსებითად აღემატება სხვა პროგრამებს. გერმანისტიკის, საფრანგეთისმცოდნეობის, რუსისტიკისა და რომანული ფილოლოგიის პროგრამები ფინანსურად არამომგებიანია, რაც სავსებით შეესაბამება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გლობალურ, საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანისტიკის, საფრანგეთისმცოდნეობის, რუსისტიკისა და რომანული ფილოლოგიის პროგრამების ხარჯი არსებითად ნაკლებია მათ შემოსავლებზე, პროგრამების განხორციელებას ფინანსური თვალსაზრისით საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების მოძიების ეფექტიანი სისტემა და ფინანსების ეფექტიანი განაწილება მომგებიან და არამომგებიან დარგებს შორის, ფინანსურად არამომგებიანი, თუმცა სტრატეგიულად და ინტელექტუალურად მნიშვნელოვანი დარგების შენარჩუნება-განვითარება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი კლასტერის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნია.

უნივერსიტეტი კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მხარდაჭერას საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

პროგრამის სასწავლო პროცესს წარმართავს ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა სახელფასო ხარჯი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში და კონკრეტული, ფინანსურად არამომგებიანი პროგრამები დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე და იყენებს მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის რესურსებს.

პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლა-შენახვისთვის საჭირო ხარჯი ფინანსდება როგორც უნივერსიტეტის ცენტრალური და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან, ასევე პერიოდულად, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ანგლისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განსახორციელებლად საჭირო ყველა ფინანსური რესურსი. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მომგებიანია უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ანგლისტიკის მომგებიანი პროგრამა ფინანსურად ეხმარება კლასტერში შემავალ სხვა მცირე ბიუჯეტულ პროგრამებს (აღნიშნული მიდგომა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია). პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის და განვითარებისთვის. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია წლიურად მისაღები 200 სტუდენტიდან მიღებული თანხების გადანაწილება შემდეგნაირად: სწავლებასთან დაკავშირებული სახელოვასო ხარჯი, ლიტერატურა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განახლება და მოვლა, მიმდინარე საოფისე ხარჯები, ადმინისტრაციული დანახარჯები, პროგრამის აკრედიტაციის ხარჯი და განვითარების ხარჯი და სხვ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)

მიუხედავად გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები მცირე კონტინგენტისა და, შესაბამისად, არამომგებიანი ბიუჯეტისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კარგად აქვს გააზრებული კლასტერული მიდგომა და ერთნაირად ზრუნავს ყველა იმ დარგის განვითარებაზე, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, შესაბამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებს. კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის და მათ შორის გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს დაფინანსების მოძიებისა და განაწილების ეფექტიანი სისტემა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი), პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსი საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. ბიუჯეტის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა და დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო სტუდენტების მიერ ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული დაფინანსება და აგრეთვე მათ მიერ გადახდილი სწავლის საფასური. პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების განსახორციელებლად შემოსავალი საკმარისი არაა, უნივერსიტეტი სწორად დაგეგმილი ფინანსური პოლიტიკით ახერხებს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფას.

მართალია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის დაფინანსებას, სასურველია, დაფინანსების წყაროების უფრო მეტი დივერსიფიკაცია, გარედან ფინანსური რესურსების ან გრანტების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)

მიუხედავად რუსისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები მცირე კონტინგენტისა და, შესაბამისად, არამომგებიანი ბიუჯეტისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კარგად აქვს გააზრებული კლასტერული მიდგომა და ერთნაირად ზრუნავს ყველა იმ დარგის განვითარებაზე, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, შესაბამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებს. კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის და მათ შორის რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს დაფინანსების მოძიებისა და განაწილების ეფექტიანი სისტემა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ანგლისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განსახორციელებლად საჭირო ყველა ფინანსური რესურსი. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მომგებიანია უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ანგლისტიკის მომგებიანი პროგრამა ფინანსურად ეხმარება კლასტერში შემავალ სხვა მცირე ბიუჯეტულ პროგრამებს (აღნიშნული მიდგომა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია). პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია წლიურად მისაღები 25 სტუდენტიდან მიღებული თანხების გადანაწილება შემდეგნაირად: სწავლებასთან დაკავშირებული სახელფასო ხარჯი, ლიტერატურა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განახლება და მოვლა, მიმდინარე საოფისე ხარჯები, ადმინისტრაციული დანახარჯები, პროგრამის აკრედიტაციის ხარჯი და განვითარების ხარჯი და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების ბიუჯეტები;
- ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერის საერთო რეკომენდაცია არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერის საერთო რჩევა არ გაცემულა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი), **პროგრამა 3** (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი), **პროგრამა 4** (რუსისტიკა, ბაკალავრიატი) და **პროგრამა 6** (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- გამოყენებითი გერმანისტიკის, საფრანგეთისმცოდნეობის, რუსისტიკის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მოხდეს გარედან გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა პროგრამების დამატებითი ფინანსური რესურსებით უზრუნველსაყოფად.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში (ენის დაუფლება, კოდი: 0231) შინაარსობრივი ნიშნით დაჯგუფებულია:

- 1) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში“, კოდი: 0231.1.2; გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.3; საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში“, კოდი: 0231.1.6; რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.14);
- 2) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები (ანგლისტიკა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.2; რომანული ფილოლოგია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რომანულ ფილოლოგიაში, კოდი: 0231.1.5).

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ზემოთ მითითებული პროგრამები წარმოადგენს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შედეგს - აკრედიტაციის სტანდარტებთან, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და „ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები და პროგრამების სამუშაო ჯგუფები (პროგრამების ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი). სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი წესებით, მათ შორის:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს, მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის და პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სისტემატური კვლევის რუკას და კვლევების დროის ჩარჩოს.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ - არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა, პროგრამის გაუქმება და სხვ. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავების/ცვლილებების პროცესში გასათვალისწინებელია გარე პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“ - ადგენს მოქმედი პროგრამების განხორციელების შეფასების გარე და შიდა მექანიზმებს. პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა

დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შიდა შეფასების მექანიზმი გულისხმობს პროგრამის განხორციელების პერიოდულ შეფასებას/მონიტორინგს და მოიცავს როგორც პროგრამის შინაარსის ანალიზს და რევიზიას მოცემულ დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, ისე სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზს, მაგ.: შრომის ბაზრის საჭიროებები, სტუდენტების აკადემიური მოსწრება, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, პროგრამიდან განთავსების რაოდენობრივი მონაცემები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობა, პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები და საჭიროებები, სასწავლო გარემო, რესურსები, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები, სხვ.

- საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები: „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ და „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ - ადგენს მოთხოვნებს სამაგისტრო პროგრამისადმი და აღწერს მოთხოვნებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისადმი, პროგრამაზე მიღების წესს და პირობებს, პროგრამის მოცულობას, ზოგად მიზნებს, სტრუქტურას და სხვ. მითითებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იყო დაშვებული ტექნიკური ხარვეზი (გამოგზავნილი იყო ძალადაკარგული დოკუმენტები) და იმ დროისთვის მოქმედებდა ამ დოკუმენტების განახლებული ვერსიები, რომლებიც ექსპერტებს მიეწოდათ ვიზიტის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები იყო შემუშავებული ვიზიტის განხორციელებამდე და წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“ - ადგენს შეფასების თითოეული ასპექტის შეფასების კრიტერიუმებს. დოკუმენტის დანართებია პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსის ქართულ- და ინგლისურენოვანი უნიფიცირებული (სარეკომენდაციო) ფორმები ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საფეხურებისთვის.

ინტერვიუში მონაწილე პირთა (თვითშეფასების ჯგუფის წევრები, პროგრამების ხელმძღვანელები, სხვ.) განმარტებით, სამუშაო პროცესში განხილულ იქნა უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, შესწავლას და ანალიზს დაექვემდებარა მოქმედი პროგრამების განხორციელებით მიღებული გამოცდილება და დარგში არსებული საჭიროებები, ასევე, სხვადასხვა რიცხობრივი და თვისებრივი მონაცემები (მაგ., აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები, აკადემიური მოსწრების და დასაქმების მაჩვენებლები, სტუდენტებს, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებების კვლევის შედეგები, პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის და გარე გარე კოლეგიალური შეფასების შედეგები, მიღებული რეკომენდაციები/რჩევები და სხვ.), დადგინდა პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა, ერთიანი დოკუმენტის სახით ჩამოყალიბდა ინფორმაცია სწავლის შედეგებისა და ამ შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების, შეფასების მეთოდების, შეფასების პერიოდულობის და სხვ. შესახებ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და ა.შ. და სხვ. სამუშაო პროცესში პერიოდულად ხდებოდა მუშაობის შედეგების განხილვა, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხდომების ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.

სამუშაო ჯგუფმა მოახდინა მოქმედ პროგრამებში აუცილებელი ცვლილებების იდენტიფიცირება, დაგეგმვა და დანერგვა. ასე, მაგ., განხორციელდა როგორც კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამისთვის აქტუალური ცვლილებები (მაგ., დაზუსტდა პროგრამების მიზნები და შედეგები), ისე კონკრეტული პროგრამის და მისი კომპონენტების სრულყოფაზე მიმართული ცვლილებები (მაგ., გადაიხედა შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სახელმძღვანელოები და სხვ.).

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების პროექტები დაექვემდებარა გარე შეფასებას საქართველოს უსდ-ების წარმომადგენლისა (ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა) და უცხოელი დარგის სპეციალისტის (რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა) მიერ. ასევე, პროგრამების

(ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; გამოყენებითი გერმანიისტიკის საბაკალავრო პროგრამა; რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა; საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამსაგისტრო პროგრამები) გარე შეფასება განახორციელეს დამსაქმებლებმა, რაც ასახულია შესაბამის კვლევების ანგარიშებში.

სამუშაო პროცესში მოძიებული და დამუშავებული მასალები გამოყენებულ იქნა თვითშეფასების ანგარიშის შედგენისთვის (თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობის პროცესის ორგანიზება დაევალა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს). ინტერვიუში მონაწილე პირებთან (მაგ., აკადემიური პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან) ინტერვიუს შედეგად დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების ფაქტი (მაგ., გამოკითხვები, ლექციაზე დაკვირვება, სხვ.). ასევე, პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მათი საქმიანობის შესწავლა-შეფასება, უტარდება სხვადასხვა ტრენინგები (მაგ., სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, ელექტრონული სწავლების ორგანიზება, სხვ.). ინტერვიუს პროცესში სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პროგრამების ხელმძღვანელებმა და განახორციელებელმა პერსონალმა ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესზე და აღნიშნეს, რომ მიიღეს სათანადო კონსულტირება და საინფორმაციო მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ:

- უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მიდგომები, რაც ქმნის უნივერსიტეტში ხარისხის მართვის ერთიან სისტემას. ამავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალურ ოფისსა და ფაკულტეტს შორის უფლებამოსილებების გამოიჯნა, ოპტიმალური და გააზრებული დელეგირება ქმნის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფართო ავტონომიას ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ფარგლებში და წარმოადგენს უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების პროცესები არის რელევანტური მარეგულირებელი დოკუმენტებით მოწესრიგებული და გამჭვირვალე. წინასწარ განსაზღვრულია შესაფასებელი ასპექტები, შეფასების პერიოდულობა და ინსტრუმენტები, ამ პროცესში მონაწილე სუბიექტები, გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვ., რაც ქმნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და სისტემატურობის საფუძველს;
- გამოიყენება პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების სარეკომენდაციო უნიფიცირებული ფორმები, ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფის ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- არსებობს პროგრამის განვითარებისა და მხარდაჭერის ხედვა, გააზრებულია პროგრამის განხორციელებისთვის სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელობა და პროგრამის სპეციფიკა (განათლების საფეხური, შინაარსი, რესურსები და სხვ.) (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამების განვითარების პროცესი იყო კომპლექსური, თანმიმდევრული, კოლეგიალური და გამჭვირვალე და განხორციელდა უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ. მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი/საკვანძო საკითხები, საუკეთესო პრაქტიკები, დაინტერესებულ მხარეთა და გარე შემფასებელთა მოსაზრებები. ასევე, იდენტიფიცირებულ იქნა აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის ჭრილში პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები და ვადები, რაც აისახა თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამების მოდიფიცირების პროცესი და სამუშაო ჯგუფის საქმიანობა

ექვემდებარებოდა სისტემატურ დაკვირვებას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);

- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირებულია პროგრამების მოდიფიცირების პროცესის ეტაპებზე და განხორციელებულ აქტივობებზე. ასევე, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი ინფორმირებულია პროგრამების შეფასების პროცედურულ საკითხებზე, სასწავლო პროცესის, მათ შორის ელექტრონულ/დისტანციურ ფორმატში, ორგანიზების თავისებურებებზე. პერსონალის შეფასების მექანიზმი გამოიყენება როგორც პროგრამის განვითარების, ისე პერსონალის მხარდაჭერის მიზნით (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მიეკუთვნება ერთ დეტალურ სფეროს (0231 - ენის დაუფლება) და უმაღლესი განათლების განსხვავებულ საფეხურებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), რაც განაპირობებს ამ პროგრამების საერთო და სპეციფიკურ მახასიათებლებს, შესაბამისად კი - საერთო და სპეციფიკურ შესაფასებელ ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მექანიზმები შეიძლება იყოს გამოყენებული კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამისთვის, რადგან შეფასების პროცესში, ასევე, ხდება პროგრამის საფეხურის შესაბამისად აქტუალური ასპექტების შესწავლაც (მაგ., სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში - აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპების შესახებ ინფორმირებულობა, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის და მუშაობის პროცესის შეფასება, სამაგისტრო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და სხვ.) (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით).

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც მთლიანად კლასტერის, ისე კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დამატებით წარმოდგენილი);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დამატებით წარმოდგენილი);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

- სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები;
- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების: 1) მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკები; 2) სამიზნე ნიშნულების რუკები; 3) სწავლის შედეგების რუკები;
- გარე შეფასება (ანგლისტიკა, სამაგისტრო პროგრამა), გარე შეფასება (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა);
- დამსაქმებლების მიერ პროგრამების შეფასება (ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა; რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა; საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამსაგისტრო პროგრამები);
- პროგრამების გარე შეფასების ანალიზი (კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასებისთვის ჩატარებული დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვებისა და კოლეგიალური შეფასების შედეგების აღწერა);
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- დისტანციური სწავლების სახელმძღვანელო;
- საჩვენებელი, სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- კურსდამთავრებულთა კვლევები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2017, 2018, 2019, 2020);
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2019, 2020, 2021);
- სერვისების შეფასება (აკადემიური პერსონალი - 2019, 2020);
- სტუდენტური სერვისების შეფასების ანგარიში (2019);
- საუნივერსიტეტი სერვისების კვლევა (ლექტორები, 2021);
- საუნივერსიტეტი სერვისების შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში (2021);
- სტუდენტთა დასაქმების კვლევა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2017, 2018, 2019, 2020, 2021);
- 2020 წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება, 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 4 (რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ანგლისტიკა, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული მიდგომების თანახმად, გარე შეფასება წარმოადგენს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ეს მექანიზმი იყო გამოყენებული კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემთხვევაშიც. ასე, მაგალითად, სამაგისტრო პროგრამების გარე შეფასება განხორციელეს უნივერსიტეტთან არაფილირიებულმა პირებმა - საქართველოს (ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში) და უცხოეთის (რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში) უსდ-ების წარმომადგენლებმა, რაც დასტურდება მათი უკუკავშირის წერილებით. მიღებული გამოხმაურების თანახმად, ორივე პროგრამა დადებითად არის შეფასებული, ორივე შემთხვევაში ხაზგასმით აღნიშნულია პროგრამების აქტუალობა. ამ ფორმით განხორციელებული გარე შეფასება ხელს უწყობს აკადემიურ სივრცეში არსებულ ტენდენციებთან პროგრამების დადარებას, რის გამო სასურველი იქნებოდა ამ მექანიზმის გამოყენების გავრცელება საბაკალავრო პროგრამებზეც.

გარდა დამოუკიდებელი საექსპერტო შეფასებებისა, სამაგისტრო პროგრამები შეაფასეს დამსაქმებლებმაც. დამსაქმებლების მიერ შეფასდა: ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა; რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა; საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები, ასე, მაგალითად, 2022 წელს:

- ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები - დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 რესპოდენტმა - პოტენციურმა დამსაქმებლებმა (ვინაობა განისაზღვრა პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ), რომლებსაც წინასწარ გაეგზავნათ კურიკულუმები. სამიზნე ჯგუფთან დაიგეგმა ფოკუს-ჯგუფი, დისკუსიისთვის გამოყენებულ იქნა წინასწარ შედგენილი გეგმა, შეხვედრა ჩატარდა zoom-ის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით;
- გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა - შეფასების მიზნით 2022 წლის ივლისში დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 დამსაქმებელმა. კვლევის მიზანი იყო სფეროში არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება. კვლევა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის განხორციელების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა წინასწარ განსაზღვრა პოტენციური დამსაქმებლები. სამიზნე ჯგუფთან გაიგზავნა კურიკულუმი და ონლაინ-კითხვარი (მოიცავდა 15 კითხვას, მათ შორის 7 კითხვა იყო ღია, 8 - დახურული).
- რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა - პროგრამის სამუშაო ჯგუფმა წინასწარ განსაზღვრა დარგში და მის მომიჯნავე სფეროში არსებული პოტენციური დამსაქმებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროგრამასთან დაკავშირებულ დისკუსიაში (5 რესპოდენტი), რომლებსაც წინასწარ გაეგზავნათ პროგრამების კურიკულუმი. სამიზნე ჯგუფთან დაიგეგმა ფოკუს-ჯგუფი, დისკუსიისთვის გამოყენებულ იქნა წინასწარ შედგენილი გეგმა (ჩატარდა zoom-ის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით);
- საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები - კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პოტენციური დამსაქმებლები (8 რესპოდენტი), რომლებსაც წინასწარ გაეგზავნათ კურიკულუმები. სამიზნე ჯგუფთან დაიგეგმა ფოკუს-ჯგუფი, რომელიც zoom-ის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა. სულ ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი, დისკუსიისთვის

გამოყენებული იყო წინასწარ შედგენილი გეგმა, შეხვედრა ჩატარდა zoom-ის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

ზემოთ მითითებული კვლევების შედეგები იყო გაანალიზებული თითოეული კვლევის ამსახველ დოკუმენტებში და შეჯამებული ერთიანი დოკუმენტის სახით „კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასებისთვის ჩატარებული დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვებისა და კოლეგიალური შეფასების შედეგების აღწერა“.

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამების მოდიფიცირების პროცესში კვლავ იყო განხილული 2011 წელს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და 2011-2022 პერიოდში მათი შესრულება. ასევე, პროგრამებში გარკვეული ცვლილებების საფუძველი გახდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს სტუდენტებმა. აღსანიშნავია დამსაქმებლების მიერ პროგრამების დადებითი შეფასებები - ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები (ძირითადად, პრაქტიკული უნარებისა და ენობრივი კომპეტენციების განვითარების, პრაქტიკული კურსების გაძლიერების, ახალი კურსების დამატების შესახებ) იყო გათვალისწინებული პროგრამების სამუშაო ჯგუფების მიერ). პროგრამების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დამსაქმებლები მიიჩნევენ სტუდენტისთვის როგორც დარგობრივი (ენობრივი), ისე ზოგადი კომპეტენციების ფორმირების/განვითარების შესაძლებლობას. დამსაქმებელთა აზრით, პროგრამები უზრუნველყოფენ შრომის ბაზარზე აქტუალური კომპეტენციების ჩამოყალიბებას და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. ანალოგიური მოსაზრება დააფიქსირეს პროგრამების კურსდამთავრებულებმაც, რომლებმაც დადებითად შეაფასეს პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც მთლიანად კლასტერის, ისე კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასება (ანგლისტიკა, სამაგისტრო პროგრამა), გარე შეფასება (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა);

- დამსაქმებლების მიერ პროგრამების შეფასება (ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა; რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა; საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამსაგისტრო პროგრამები);
- პროგრამების გარე შეფასების ანალიზი (კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასებისთვის ჩატარებული დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვებისა და კოლეგიალური შეფასების შედეგების აღწერა);
- კურსდამთავრებულთა კვლევები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2017, 2018, 2019, 2020);
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2019, 2020, 2021);
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: სასურველია პროგრამების გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: სასურველია პროგრამების გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: სასურველია პროგრამების გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

პროგრამა 4 (რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: სასურველია პროგრამების გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ დარგობრივი ორგანიზაციების, არამედ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერაც.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ანგლისტიკა, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება კომპლექსურ შეფასებას, რაც გულისხმობს პროგრამებისა და მათი განხორციელებისთვის აქტუალური ასპექტების შესწავლა-ანალიზს: სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით, განსაზღვრული პერიოდულობით, ხდება პროგრამის (მათ შორის, სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების და სხვ. შეფასება, რაც იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვების, განვითარების ტენდენციების შესწავლის, გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების დაგეგმვისა და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ სასწავლო წელს (მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის) და მომდევნო სემესტრს (ანგარიშის წარდგენისთვის). აუცილებელ პირობას წარმოადგენს უკუკავშირი და შეფასების შედეგების

გაცნობა, რაც დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამების ხელმძღვანელმა, განმახორციელებლებმა და სტუდენტებმა.

ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა. შეფასების პროცესისთვის წინასწარ შემუშავებულია კითხვარები და მათი გამოყენების მექანიზმები (მაგ., დასაქმების კვლევა და შეფასების მექანიზმი; დასაქმების კვლევა და შეფასების მექანიზმი; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და გამოკითხვის მექანიზმი; სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი და შეფასების მექანიზმები; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; სტუდენტებისა და ლექტორების მიერ სერვისების შეფასების კითხვარი). ასე, მაგალითად, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა: სტუდენტების მიერ დისტანციური ფორმით განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება (2020); საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვები (2017-2020); პროგრამით კმაყოფილების კვლევა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტთა გამოკითხვები (2019 - 2021); სერვისების შეფასება ლექტორებისა და სტუდენტების მიერ (2019-2021), სტუდენტების დასაქმების კვლევა (2017-2021). ჩატარებულ გამოკითხვებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ხდებოდა პროგრამების თავისებურებების გათვალისწინება. ასე, მაგალითად, სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში შესწავლას ექვემდებარება მაგისტრანტების დამოკიდებულება კვლევითი ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით, მათი ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპების შესახებ, ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასება, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი და მუშაობის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზება, საერთაშორისო ჟურნალების ბაზები, ნაშრომზე მუშაობისას საერთაშორისო ჟურნალების ბაზების ხელმისაწვდომობა, ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული უკუკავშირი და სხვ., რაც, ასევე, დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულებმა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი მოსაზრებების შესწავლის სისტემა ეფექტიანია და მოიცავს როგორც ელექტრონულ გამოკითხვებს, ისე სატელეფონო ინდივიდუალურ კომუნიკაციას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის ათვისების (შედეგების მიღწევის) დადგენა და მიღებული შედეგების შეფასება: შესწავლის შედეგად დადგენილ სამიზნე ნიშნულებსა და მიღწეულ შედეგებს შორის სხვაობა (მეტობა/ნაკლებობა) წარმოადგენს შესწავლის საგანს, მიზეზის დადგენისა და გარკვეული ღონისძიებების (მაგ., პროგრამაში ცვლილებები, მომდევნო პერიოდისთვის კორექტირებული სამიზნე ნიშნულების დადგენა და სხვ.) დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს.

ასევე, შეფასების პროცესის ერთ-ერთი მიმართულებაა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება, საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიალური შეფასება, რომელიც გულისხმობს მაგ., წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების და მათი ქულობრივი ექვივალენტების გამოყენებით შეფასებას, ლექტორის მხრიდან გამოვლენილი ძირითადი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, რჩევებს და რეკომენდაციებს. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება დაადასტურეს და დადებითად შეაფასეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამების განმახორციელებლებმა, რომლებმაც ცალსახად დაადასტურეს ამ მექანიზმის მნიშვნელობა და შედეგიანობა.

პროგრამების ხელმძღვანელების განმარტებით, პროგრამის შეფასების მექანიზმებად გამოიყენება როგორც პროგრამების შეფასება გარე შემფასებლების, მათ შორის დამსაქმებლების მიერ (სამაგისტრო პროგრამების შეფასება უნივერსიტეტთან არააფილირებული დარგის სპეციალისტების და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ), ისე პროგრამის დადარება უცხოეთის პროგრამებთან. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საუკეთესო პრაქტიკების გაცნობის მიზნით შესწავლილ იქნა უცხოეთის უსდ-ების პროგრამები, ასე, მაგალითად

სამუშაო ჯგუფმა განიხილა შემდეგი უნივერსიტეტების ანალოგები: 1) ანგლისტიკის საბაკალავრო პროგრამა (ლემანის კოლეჯი, ნიუ-იორკი, აშშ; ალფონსას კოლეჯი, ინდოეთი; ტენესის ტექნიკური უნივერსიტეტი, აშშ; ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა); 2) გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა (კლაგეფურტის უნივერსიტეტი, ავსტრია; როსტოკის უნივერსიტეტი, გერმანია; ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა; ლატვიის უნივერსიტეტი); 3) საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა (კოლუმბიის კოლეჯი, ნიუ-იორკი, აშშ; ბოსტონის უნივერსიტეტი, აშშ; პლოვდივის უნივერსიტეტი, ბულგარეთი; ლატვიის უნივერსიტეტი, ლატვია; კოლორადოს უნივერსიტეტი, აშშ); 4) რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა (ბოსტონის უნივერსიტეტი, აშშ;); 5) ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა (ვესტმინსტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია; მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი); 6) რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ბერგენის უნივერსიტეტი, ნორვეგია; ედინბურგის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; ბოსტონის უნივერსიტეტი, აშშ; კა-ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია; მილანის უნივერსიტეტი, იტალია; მისურის უნივერსიტეტი, აშშ; კალაბრიას უნივერსიტეტი, იტალია). ასევე, პროგრამების შემუშავების პროცესში ხარისხის სამსახურის მიერ იყო დამუშავებული ბრიტანეთის უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (The Quality Assurance Agency for Higher Education) 2019 წლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი - https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject-benchmark-statements/subject-benchmark-statement-english.pdf?sfvrsn=47e2cb81_4

შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის შემთხვევაში:

- პროგრამის შეფასება ტარდება სისტემატურად, გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული რელევანტური მექანიზმები, შესწავლას ექვემდებარება პროგრამისთვის აქტუალური ასპექტები;
- პროგრამა ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას, პროგრამის განვითარების მიზნით ხდება უცხოეთის უსდ-ბის ანალოგიური პროგრამების შესწავლა;
- ხარისხის უზრუნველყოფა გუნდური მუშაობის, მექანიზმების სისტემატური განვითარებისა და შეფასებზე რეაგირების შედეგია.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც მთლიანად კლასტერის, ისე კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების: 1) მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკები; 2) სამიზნე ნიშნულების რუკები; 3) სწავლის შედეგების რუკები;
- გარე შეფასება (ანგლისტიკა, სამაგისტრო პროგრამა), გარე შეფასება (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა);
- დამსაქმებლების მიერ პროგრამების შეფასება (ანგლისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; გამოყენებითი გერმანისტიკის საბაკალავრო პროგრამა; რუსისტიკის საბაკალავრო პროგრამა; საფრანგეთისმცოდნეობის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამსაგისტრო პროგრამები);
- პროგრამების გარე შეფასების ანალიზი (კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასებისთვის ჩატარებული დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვებისა და კოლეგიალური შეფასების შედეგების აღწერა);
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია;
- კურსდამთავრებულთა კვლევები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2017, 2018, 2019, 2020);
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2019, 2020, 2021);
- სერვისების შეფასება (აკადემიური პერსონალი - 2019, 2020);
- სტუდენტური სერვისების შეფასების ანგარიში (2019);
- საუნივერსიტეტო სერვისების კვლევა (ლექტორები, 2021);
- საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში (2021);
- სტუდენტთა დასაქმების კვლევა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა - 2017, 2018, 2019, 2020, 2021);
- 2020 წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება, 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება;
- ინფორმაცია უცხოეთის პროგრამებთან დადარების შესახებ (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა),
ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 4 (რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ანგლისტიკა, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ანგლისტიკა, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): წარმოდგენილი არ არის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

- ანგლისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი;
- გამოყენებითი გერმანისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი;
- საფრანგეთისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი;
- რუსისტიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი;
- ანგლისტიკა, მაგისტრატურა;
- რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა.

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ანგლისტიკა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (გამოყენებითი გერმანისტიკა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (საფრანგეთისმცოდნეობა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (რუსისტიკა, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (ანგლისტიკა, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 6 (რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირინე დარჩია, ხელმოწერა 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ფიფია, ხელმოწერა



თეონა ბერიძე, ხელმოწერა

თ. ბერიძე

გიული კალატოზიშვილი, ხელმოწერა

გი. კალატოზიშვილი

მარინა არაშვილი, ხელმოწერა



თამარ გვიანიშვილი, ხელმოწერა

თ. გვიანიშვილი

მარიამ გორგოძე, ხელმოწერა

მ. გორგოძე